http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

2010 წლის აპრილიდან თსუ-ში ხელფასები კვლავ გაიზრდება

მე-4 გვერდზე

ახალი

უნივერსიტეტი

18 მარტი, სუთშაბათი, 2010 წ. №2 (2098)

ორგზის მსოფლიო რეკორდსმენი თსუ-დან

20 თებერვალს ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ბორდენთაუნში ათლეტიზმში გამართულ მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების წევრმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ლევან ციციშვილმა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ახალგაზრდებში წოლჭიმში დაძლია 150 კგ, რისთვისაც ოქროს მედალი დაიმსახურა და 8 კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. მორიგი ასპარეზობა ბიცეპით წონის აწევაში გაიმართა, რაშიც მან პირველი ადგილი მოიპოვა, მსოფლიო რეკორდს ერთბაშად 20 კილოგრამით გადააჭარბა და 97,5 კილოგრამი აწია. აღნიშნული შედეგი ასპარეზობაში მონაწილე მძიმე წონის ათლეტებმაც კი ვერ დაძლიეს და ამდენად, ლევან ციციშვილის მიღწევა მსოფლიო ჩემპიონატში უპრეცედენტო შემთხვევად შეფასდა. ამ შედეგების გათვალისწინებით მას ბესტ ლიფტერ – ის წოდება მიენიჭა და გახდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ნინო კაკულია

20 წლის ლევან ციციშვილი თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტია, მან სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში 2008 წლიდან დაიწყო. 2008 წლის მარტში თსუ-ის პირველობა მოიპოვა ათლეტიზმში, ხოლო ამავე წლის შემოდგომაზე თსუ-ის ღია პირველობაზე წარმატების მოპოვების შემდეგ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ასახელა თსუ — მან შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავა. 2009 წელს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობისას სპორტის 2 სახეობაში (წოლჭიმი და ბიცეპით წონის აწევა) მიიღო მონაწილეობა და პირველობის მოპოვების აღსანიშნად მედლებით დაჯილდოვდა. სწორედ ამ ჩემპიონატის შედეგების მიხედვით გახდა იგი სპორტის ოსტატი. სპორტის მიმდევრობა ლევან ციციშვილს სრულიად არ უშლის ხელს უნივერსიტეტში წარჩინებით სწავლაში. პოლიტოლოგიის გარდა მისი ინტერესის სფეროა ჟურნალისტიკა, რომელიც მეორად სპეციალობად აქვს არჩეული. როგორც თავად ამბობს, დაინტერესებულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით და გულშემატკივრობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლო პერსპექტივას. ამ პროცესებისადმი მას თავისი დამოკიდებულება აქვს და სურს, რომ გამთლიანებული საქართველოს წარმატებული სპორტსმენი გახდეს — სწორედ ეს „წოდებაღა“ დარჩა მოსაპოვებელი მას შემდეგ, რაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატად დასახელდა.

მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ჭავჭანიძე, ფედერაციის პრეზიდენტი: ნიკოლოზ სარალიძე) ბორდენთაუნში სრული შემადგენლობით გაემგზავრა. ქართველმა ათლეტებმა გუნდური პირველობა მოიპოვეს და დაჯილდოვდნენ 10 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლით. მსოფლიო ჩემპიონატში გუნდური პირველობის მოპოვებისთვის ზურაბ ჭავჭანიძე დასახელდა წლის საუკეთესო მწვრთნელად მსოფლიო მასშტაბით.

როგორც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ჭავჭანიძე აღნიშნავს: „მაშინ, როდესაც საქართველოს მსოფლიო მასშტაბით სპორტის სახეობებში მეტნაკლებად უჭირს წარმატებების მიღწევა, ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ გამარჯვება შეგვიძლია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატებზე გუნდური გამარჯვება უკვე მესამედ მოვიპოვეთ. სასურველი იქნება, თუკი საქართველოს ხელისუფლება ისევე დაინტერესდება სპორტის ამ არაოლიმპიური სახეობით, როგორი წარმატებითაც უთმობს ყურადღებას სპორტის სხვა სახეობებს. ამ მხრივ საყვედურს ვერ ვიტყვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისამართით, რომელიც მაქსიმალურად გვიწყობს ხელს ვარჯიშისთვის პირობების შექმნასა და შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით“.

ათლეტიზმში აშშ-ში ვარჯიშობს 5 მილიონამდე ადამიანი, საქართველოში კი მათი რიცხვი დაახლოებით 500 აღწევს. აღსანიშნავია, რომ ამ არაპროპორციულ ძალთა ფარდობის მიუხედავად ქართველი ათლეტები მსოფლიო ჩემპიონატზე ხშირად იმარჯვებენ.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრში 6 ქვეყნის 100-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, ქართველებიც. საქართველოს ნაკრები ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ბორდენთაუნში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ხელშეწყობით გაიგზავნა. უნივერსიტეტის სპორტსმენი სტუდენტის ლევან ციციშვილის მგზავრობის ხარჯები თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯევანიძის წარდგინებით თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა და სტუდენტურმა თვითმმართველობამ ნაწილობრივ დააფინანსა. ამერიკიდან დაბრუნებულ გამარჯვებულ სპორტსმენებს თსუ-ის რექტორმა სავარჯიშოდ მაღლივ კორპუსში ახალი კომფორტული სპორტული დარბაზი დაახვედრა. ზურაბ ჭავჭანიძის ინფორმაციით, მსოფლიო ათლეტიზმის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 2011 წელს მსოფლიო ჩემპიონატს ათლეტიზმში თბილისი უმასპინძლებს. არ არის გამორიცხული, რომ ასპარეზობა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ახალგარემონტებულ შენობაში გაიმართოს.

სტუდენტები გადასახადს ეტაპობრივად დაფარავენ
მე-2 გვ.

პრეზიდენტის სტიპენდიატთა ნაწილს უნივერსიტეტი აფინანსებს
მე-2 გვ.

რეფორმამ უნივერსიტეტი პრობლემებისგან ვერ იხსნა
მე-3 გვ.

გენური ინჟინერია ბოროტებაა თუ კაცობრიობის ახალი იმედი?
მე-6 გვ.

ბიბლიური არქეოლოგიის უდიდესი მონაპოვარი
მე-6 გვ.

გამოვიდა საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში
მე-8 გვ.

პატრიარქის ჯილდო
მე-10 გვ.

„ქართუ ჯგუფმა“ თსუ-ის საჩუქრად 100 000 ლარის ღირებულების წიგნები გადმოსცა
მე-10 გვ.

ამბები
მე-14 – 15 გვ.

სტუდენტთან პირისპირ

გთავაზობთ პასუხებს იმ კითხვებზე, რომელიც სტუდენტებს ყველაზე მეტად გაინტერესებთ. ჩვენს პასუხებში იპოვით სტუდენტური პროგლემების გადაწყვეტის გზებს.

? ნინო ჯინჭარაძე, იურიდიული ფაკულტეტის VI სემესტრის სტუდენტი:

— ***სამეცნიერო კონფერენციების გარდა, მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა სახის კონკურსებში, პროექტებში და ა.შ., რაც ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად პროფესიულ წინსვლაშიც გვეხმარება, მაგრამ იქ მიღებულ სერტიფიკატებს თუ გამარჯვებულის სტატუსს სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში მხედველობაში არ იღებენ. შეიძლება თუ არა ამ სახის აქტივობები გახდეს კრიტერიუმი სტიპენდიატთა კონკურსში?***

თეა ჯუღელი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

— უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე ბაკალავრიატის ნიჭიერ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისთვის კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება ერთი და იმავე კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც ერთნაირ პირობებში აყენებს ყველა სტუდენტს. ეს კრიტერიუმებია: აკადემიური მოსწრება; სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. რექტორის ეს ბრძანება (118/01-01 05.11.2009) ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის 490 ბრძანებით დამტკიცებული თსუ-ის წესდების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს. ამგვარად, ეს კრიტერიუმები დადგენილი სტანდარტია ყველა ფაკულტეტისთვის და ჩვენი დეკანატიც არაა უფლებამოსილი — ამა თუ იმ სტუდენტის რაიმე სხვა აქტივობები მხედველობაში მიიღოს ან გამონაკლისები დაუშვას.

? თამარ ბაბუხადია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების VI სემესტრის სტუდენტი:

— ***ჩვენს ფაკულტეტზე სტუდენტთა უკმაყოფილებას იწვევს უცხო ენათა სწავლებისთვის გამოყოფილი შეზღუდული დრო. 10 კრედიტის ფარგლებში შეუძლებელია სრულიად უცხო ენის შესწავლა. ხოლო 3-წლიანი ინტერვალი კი, რომელიც მაგისტრატურამდე გვაქვს, ამ მცირედი ცოდნის მივიწყებასაც იწვევს. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში კი ისეთ დონეზე გვთხოვენ უცხო ენის ფლობას, რაც ბაკალავრიატის პირობებში ვერ მიიღწევა. ყველაფერი პირად ინიციატივებსა და ცალკე ხარჯებამდე დადის. ფსიქოლოგიური მზაობა და ძლიერი წადილია საჭირო, რომ ისწავლო ის, რაც არ გევალება. როდის გადაიჭრება ეს პრობლემა?***

რუსუდან დოლიძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

— 2 სემესტრი მართლაც პატარა დროა იმისთვის, რომ აიწიო ერთი საფეხურით მაღლა. ისიც მოგეხსენებათ, რამხელა მნიშვნელობა ენიჭება უცხო ენების ცოდნას დასაქმებისთვის. აკადემიური საბჭოს დადგენილებაა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე უცხო ენა ისწავლება მხოლოდ ერთი წელი, ანუ 10 კრედიტის ფარგლებში და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ამას დავემორჩილოთ. ოფიციალურად, ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების შედეგად ჩვენთან სტუდენტი უნდა მოვიდეს ევროპული ჩარჩოს პირველი დონის ცოდნით და ჩვენ ბაკალავრიატის ფარგლებში ისინი უნდა ავიყვანოთ მეორე დონეზე.

4

სტუდენტები გადასახადს ეტაპობრივად დაფარავენ

წელს თსუ-ში სწავლების სამივე საფეხურზე 2009-2010 სასწავლო წელს ჩარიცხულთათვის სემესტრული საფასური 1125 ლარს შეადგენს. თუ სტუდენტი სწავლების პროცესში საფასურს ვერ დაფარავს, ის ვერ გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას და შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. სწავლის საფასურის გადახდა განსაზღვრულ ვადებში უნდა მოხდეს, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური ფონის გამო სტუდენტების უმეტეს ნაწილს თანხის გადახდა უჭირს. თსუ შემხვედრ ნაბიჯს დგამს და სტუდენტებს თანხის გადახდის-პროცედურას უადვილებს.

თამარ მარუაშვილი

როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გიორგი შენგელია ამბობს, იგი 2009 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. „ოცნება ავიხდინე, მაგრამ სამწუხაროდ, დაფინანსება ვერ მოვიპოვე და ჩემი მშობლები იძულებულები გახდნენ უნივერსიტეტში შესატანი თანხა ბანკიდან გამოეტანათ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ბანკი სტუდენტური სესხების გაცემის თაობაზე საკმაოდ მიმზიდველ პირობას სთავაზობდა მომხმარებელს, პრობლემა მაინც შეგვექმნა. როგორც გაირკვა, თი-ბი-სი ბანკიდან სესხის გამოტანა იმ კლიენტებს უფრო გაუადვილდათ, რომლებსაც ამ ბანკში ხელფასი ერიცხებათ. ინფორმაცია იმის თაობაზე, ზუსტად რა კრიტერიუმით გაიცემა სესხი, ჩვენთვის გაურკვეველი დარჩა. საბოლოოდ, ერთწლიანი სესხი „საქართველოს ბანკიდან“ გამოვიტანეთ. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის მისაღებია, თსუ-ის ახალი ინიციატივა გადასახადის ეტაპობრივად დაფარვის თაობაზე“, — აცხადებს გიორგი შენგელია.

სტუდენტთა სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2009-2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ-ის სტუდენტებს მიეცათ უფლება — სწავლის საფასური გადაიხადონ ეტაპობრივად, შემდეგ ვადებში: სწავლის საფასურის პირველი ნაწილი — 2010 წლის 13 მარტამდე; მეორე ნაწილი — პირველ კოლოკვიუმამდე, სემესტრული გადასახადის მთლიანი დაფარვა კი — 2010 წლის 14 ივნისამდე უნდა მოხდეს. თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სემესტრულ დასკვნით გამოცდებზე. იგი კარგავს გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ან მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

აღსანიშნავია, რომ სწავლის საფასურის გადაუხდელობის თუ დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქცია. მაგრამ თუ სტუდენტს არ აქვს გადახდილი სწავლის საფასური, მაშინ მას მონაცემთა ბაზა არ გაეხსნება და არც საგნის არჩევა შეეძლება.

ცხადია, თანხის გადაუხდელობის მიზეზს სტუდენტის ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობა განაპირობებს. მაგრამ თუ სტუდენტი წარჩინებულია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მას ამ პრობლემის გადაჭრაშიც ეხმარება.

არსებობს ნიჭიერ სტუდენტთა წახალისების საუნივერსიტეტო ფონდი, რომელიც სტუდენტს მაღალი აკადემიური მოსწრების მიხედვით აფინანსებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაღალი აკადემიური მოსწრების დოქტორანტის სწავლის საფასურის 10% -ს ფარავს, მიუხედავად იმისა, აღებული აქვს თუ არა მას რაიმე გრანტი.

სოციალურად დაუცველი სტუდენტების დიდ ნაწილს აფინანსებს თბილისის მერია და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფინანსა მაღალმთიანი რეგიონების, მრავალშვილიანთა და აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლტოლვილი სტუდენტი-ახალგაზრდობის ნაწილი.

რაც შეეხება სტუდენტურ სესხს, სტუდენტური სესხის პროგრამა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2007 წლიდან ამოქმედდა. სტუდენტური სესხის პროგრამაში მონაწილეობს ხუთი კომერციული ბანკი: თი-ბი-სი, საქართველოს ბანკი, სახალხო ბანკი, ბაზის ბანკი და ბანკი რესპუბლიკა. სტუდენტებს გარკვეული პრეტენზიები აქვთ ამ კუთხით ბანკების პირობებზე. სტუდენტები კომერციული ბანკებისგან მეტ მოქნილობას და მათი ინტერესების გათვალისწინებას ითხოვენ.

თი-ბი-სი ბანკის პიარ-მენეჯერის ნათია გოცაძის თქმით, გასულ წელს, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად ბანკებმა მკვეთრად გაზარდეს სესხებზე საპროცენტო განაკვეთები და გაამკაცრეს გაცემის პროცედურა. მიუხედავად ამისა, ამ ბანკში ყოველთვის აქტიურად ხდებოდა სტუდენტური სესხების გაცემა. „თი-ბი-სი ბანკი კიდევ უფრო აძლიერებს თავის აქტიურობას საკრედიტო ბაზარზე და ეს ფაქტი, რასაკვირველია, აისახება სტუდენტურ სესხებზეც. ამჟამად ბანკში მიმდინარეობს სესხების კამპანია „8 ნაბიჯი სურვილების ასრულებისკენ“, რაც იმას ნიშნავს, რომ თი-ბი-სი ბანკში სესხების აღება გაცილებით მარტივი და ხელმისაწვდომი გახდა. კერძოდ, თი-ბი-სი ბანკის სესხებზე გამოცხადდა 1%-იანი ფასდაკლება და ეს პირობა, ასევე, ვრცელდება სტუდენტურ სესხებზეც. ამასთან, ჩვენ ვთავაზობთ მომხმარებელს სწრაფ, კომფორტულ და ხარისხიან სერვისს. მინიმალურ საპროცენტო განაკვეთსა და შეღავათებს“, — განაცხადა ნათია გოცაძემ.

სხვა კომერციული ბანკები შესთავაზებენ თუ არა სტუდენტებს რაიმე ახალ პირობებს — ეს კითხვა სტუდენტებისთვის კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება. იმედია, კონკურენციის პირობებში ეს თემა ბანკებისთვისაც უფრო ყურადსაღები გახდება.

ინიციატივა

პრეზიდენტის სტიპენდიატთა ნაწილს უნივერსიტეტი აფინანსებს

მესამე წელია სახელმწიფო უნივერსიტეტების წარჩინებულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გახდნენ პრეზიდენტის სტიპენდიატები. სტიპენდია თვეში 150 ლარს შეადგენს და სემესტრულად ინიშნება. შესაბამისად, სტიპენდიატთა შესარჩევად მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია, რაოდენობა კი შეზღუდული.

შურთხია ბეროშვილი

სასწავლო დეპარტამენტის სამსახურის უფროსის რუსუდან ჩიქოვანის ინფორმაციით, 2008-2009 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტის 570 წარჩინებული სტუდენტი თვეში 150 ლარის ოდენობით დაფინანსდა, თუმცა შემდგომ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 26 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე, კრიტერიუმები შეიცვალა, რომლის თანახმად, პრეზიდენტის სტიპენდიებს სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა მხოლოდ 2 % მიიღებს. შესაბამისად, პრეზიდენტის სტიპენდიატთა რიცხვი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც შემცირდა. აქედან გამომდინარე, მინისტრის ბრძანების ნაწილობრივი ცვლილების საფუძველზე, 2009 წლის შემოდგომის სემესტრში, ნაცვლად 570 სტუდენტისა, პრეზიდენტის სტიპენდია 280-მა წარჩინებულმა სტუდენტმა მიიღო. თუმცა, უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ხუბუას გადაწყვეტილებით, წარჩინებულ სტუდენტთა დარჩენილი ნაწილი — 290 სტუდენტი უნივერსიტეტმა თავად დააფინანსა.

„უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაფინანსების გარეშე დარჩნენ, თვითონ გადაეხადა იმავე რაოდენობის თანხა და წაეხალისებინა ის სტუდენტები, რომლებმაც ვერ მიიღეს პრეზიდენტის სტიპენდია. 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტიპენდია ისევ 570 სტუდენტმა მიიღო, მაგრამ აქედან მხოლოდ 280 გახდა პრეზიდენტის სტიპენდიატი, დანარჩენებს კი უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან დაენიშნათ სტიპენდია“, — აღნიშნა რუსუდან ჩიქოვანმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტიპენდია აკადემიური მაჩვენებლებისა და წინა სემესტრში გამოჩენილი სამეცნიერო საქმიანობის (სტატიები, კონფერენციები) გათვალისწინების შესაბამისად ინიშნება, თუმცა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება აკადემიურ მოსწრებას. 100 ქულიდან კრიტერიუმები დაახლოებით ასეა გადანაწილებული: 80 ქულა — აკადემიური მოსწრებისთვის, 10 — სამეცნიერო სტატიისთვის, 10 — კონფერენციაში მონაწილეობისთვის.

აღსანიშნავია, რომ თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვალდებულია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ქვეპროგრამის — „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ — ფარგლებში წარმოადგინოს სტიპენდიატთა შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები.

რით დაიმსახურეს მათ პრეზიდენტის სტიპენდიატობა?

სტუდენტი რომ ახალ ველოსიპედს ვერ გამოიგონებს და ცხოვრების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე მისი მოვალეობა კარგი სწავლაა, მარტივი ჭეშმარიტებაა. დღეს პროფესიონალიზმის შეფასების კრიტერიუმები შეიცვალა. მარტო მაღალი აკადემიური მოსწრება კონკურენტუნარიან გარემოში დიდ უპირატესობად უკვე აღარ ითვლება. როგორ შეიძლება გახდეს ახალგაზრდა რჩეულთა შორის რჩეული? ამისათვის მზა რეცეპტი არ არსებობს, მაგრამ ჩვენს რეალობაში არსებობენ ისეთი სტუდენტები, რომლებსაც უკვე გარკვეული წარმატებები აქვთ საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო საქმიანობაში. ამ წარმატებებისთვის კი ისინი ღირსეულად იღებენ ისეთ მაღალ ჯილდოს, როგორიც პრეზიდენტის სტიპენდიაა. მათთან გასაუბრებამ რჩეულ სტუდენტთა სწორედ ის უპირატესობანი დაგვანახა, რისთვისაც მათ სპეციალური სტიპენდია დაენიშნათ.

შურთხია გეროშვილი

დიმიტრი გეგენავა იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტია. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის სტიპენდია დაწესდა, იგი მას ყოველ სემესტრში იღებს. ძნელია კონკურენტი მოუძებნო ახალგაზრდას, რომელსაც უკვე საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფია აქვს. იგი აქტიური საზოგადოებრივი და სამეცნიერო საქმიანობით გამოირჩევა. როგორც თვითონ აღნიშნავს, მისი ამჟამინდელი მოღვაწეობის სფერო მრავალმხრივია. თუმცა, მომავალი გეგმები, ჯერჯერობით, კვლავ უნივერსიტეტს უკავშირდება.

ჯერ კიდევ მეორე კურსზე სწავლის დროს, 2007 წელს დიმიტრი გეგენავამ მეგობრებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია — „სტუდენტური კვაზი სასამართლო“ დააფუძნა, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტებში იურიდიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და დანერგვას. ამავე წელს იგი ამ ორგანიზაციის კანცლერად აირჩიეს. 2009 წელს აირჩიეს „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტად აკადემიური საქმიანობის სფეროში, .დეკემბერში კი საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების პრეზიდენტად. სწორედ ამის დამსახურებაა, რომ, დაახლოებით, ერთ წელიწადში დიმიტრი გეგენავა საქართველო-ევროპის იურისტ-სტუდენტთა ასოციაციის სრული წევრი გახდა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ასოციაციის არსებობის მანძილზე.

ამჟამად იგი სტუდენტური დასაქმების პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტში მუშაობს. 2009 წლიდან დღემდე იურიდიული ფაკულტეტის სპეციალისტი და იურისტ-კონსულტანტია სამართლებრივ საკითხებში. მისი ძირითადი მოვალეობაა იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციულ ორგანიზებაზე ზრუნვა და სამართლებრივი აქტების მომზადება.

წარმატებული სტუდენტის მომავალი გეგმები ჯერჯერობით სამეცნიერო საქმიანობას უკავშირდება. მისი სურვილია, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ აკადემიურ საქმიანობასთან ერთად იურიდიული საჯარო სამართლის კუთხით გააგრძელოს პრაქტიკული მუშაობა.

გარდა ამისა, დიმიტრი გეგენავა შემოქმედებითი ნიჭითაც არის დაჯილდოებული და უკვე სამეცნიერო სახელმძღვანელოების შედგენაზეც მუშაობს. კარგა ხანია წერს ლექსებს და მოთხრობებს. 2009 წელს გამოიცა მისი წიგნი "Sapienti sat" („გამგები გაიგებს“). თარგმნა არობერტ ბრენსის, პერსი ბიშ შელის, ბაირონის მოთხრობები და პუბლიკაციები.

„მაისის ბოლოს ვგეგმავ სამეცნიერო სახელმძღვანელოს გამოცემას, სადაც განვიხილავ განათლების სამართლის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს, ზაფხულში კი გამოიცემა „ჰამურაბის სამართალი“. მიმაჩნია, რომ გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ შრომა არ მეზარება“, — ამბობს დიმიტრი.

რომან გიგაური ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების IV კურსის სტუდენტია. მაღალი აკადემიური მოსწრებით თავიდანვე გამოირჩეოდა. უკვე იცის, რომ ამ დარგში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევს და ღირსეულად გააგრძელებს წინამორბედი მეცნიერების გზას.

„მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქიმია არც ისე პოპულარულ მეცნიერებად ითვლება, დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში ეს დარგი ძალიან პერსპექტიული გახდება და ქვეყნის განვითარების საქმეში ქიმიკოსები თავის სიტყვას იტყვიან. შეიძლება ითქვას, რომ ქიმიკოსობა ჩემი „საგვარეულო“ პროფესიაა. ცნობილი მეცნიერი რომან გიგაური, რომელიც პაპაჩემის ძმა იყო, დიდხანს მოღვაწეობდა თსუ-ის არაორგანული ქიმიის კათედრაზე. მისი მოსახელე ვარ და ვცდილობ, ღირსეულად გავაგრძელო მისი დაწყებული საქმე. ბოლო დროს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან ამ დარგს მეტი ხელშეწყობა აქვს, თუმცა გასაკეთებელი ბევრია... საჭიროა ახალი რეაქტივების, ხელსაწყოების შეძენა, ლაბორატორიების ოპტიმიზაცია და სხვა“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში რომან გიგაურმა.

ამჟამად რომანი ბეჟან ჭანკვეტაძის ხელმძღვანელობით სამეცნიერო ლაბორატორიაში კაპილარულ ელექტროფორეზზე, ფსიქოტროპულ და ნაწილობრივ ნარკოტიკულ ნაერთთა დაყოფაზე და ანალიზზე, ასევე, დაყოფის მეთოდებზე და მათ ოპტიმაციაზე მუშაობს. ახლახან დაიწყო მუშაობა მოლეკულური მოდელირების მექანიზმების გამოყენებაზე კაპილარულ ელექტროფორეზში.

„სამუშაო საკმაოდ რთულია, მაგრამ საინტერესოა და იმედი მაქვს, ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებას მივაღწევ. მინდა, ის ცოდნა, რომელსაც უნივერსიტეტში შევიძენ, პრაქტიკაში დავნერგო და გამოვიყენო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რომელიმე ფარმაცევტულ ფაბრიკაში ან ლაბორატორიაში ვიმუშავებ. შესაძლოა, საკუთარი ლაბორატორიაც გავხსნა. მეორად სპეციალობად ფიზიკა ავირჩიე. ჯერ-ჯერობით სწავლით ვარ დაკავებული. ქიმიის მიმართულებაზე გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე პირველი ადგილი მოვიპოვე, მინდა, ცხოვრებაში წარმატებული ადამიანი გავხდე და ჩემი ადგილი დავიმკვიდრო“, — ამბობს რომანი.

იგი თავისუფალ დროს, ძირითადად, მხატვრულ ლიტერატურას კითხულობს ან მუსიკას უსმენს. ამჟამად თეოდორ დრაიზერის „ფინანსისტს“ კითხულობს და ძალიან მოსწონს.

ეკატერინე სირაძე იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტია. პრეზიდენტის სტიპენდია შემოდგომის სემესტრში მოიპოვა. სწავლის პარალელურად იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში მუშაობს. სწავლისა და მუშაობის შეთავსება სრულებითაც არ უჭირს, მან კარგად იცის დროის ფასი.

„ეს არც ისე რთულია, თუ მოინდომებ. მთავარი კი იმ საქმის სიყვარულია, რომელსაც აკეთებ. სწავლა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყველანაირად შევეცადე, რომ გამოცდებზე მაღალი შეფასებები დამემსახურებინა და პრეზიდენტის სტიპენდიატი გავმხდარიყავი. უნივერსიტეტი წარმატებულ სტუდენტებს აძლევს საშუალებას — მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები და პრაქტიკული უნარ-ჩვევები განავითარონ. ყოველ წელს ჩვენ გვეძლევა საშუალება, სტუდენტური დასაქმების ფარგლებში აქტიურად ჩავერთოთ პრაქტიკულ საქმიანობაში. ამჟამად ხელშეკრულებით ვმუშაობ და იმედი მაქვს, მომავალშიც მომეცემა საშუალება გავაგრძელო საქმიანობა ამ მიმართულებით“, — ამბობს ეკატერინე.

სტუდენტის თვალით



რეფორმამ უნივერსიტეტი პრობლემებისგან ჯერ კიდევ ვერ იხსნა

განათლების თანამედროვე სისტემამ უზრუნველყო სწავლის დონის გაუმჯობესება. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ამ რეფორმამ უნივერსიტეტი ყველა ასპექტით პრობლემებისგან იხსნა. არის კითხვები, რომლებიც სტუდენტებს ებადებათ. სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან საუბრის შემდეგ გამოიკვეთა პრობლემათა ორი კატეგორია. პირველი, რომელიც საერთოა მთელი სასწავლებლისთვის და მეორე, რომელიც მხოლოდ გარკვეულ ფაკულტეტებს ან სფეროებს აერთიანებს.

სტუდენტებში დიდ პროტესტს იწვევს აკადემიური რეგისტრაცია, რომელიც ვადებში თითქმის არასდროს ჯდება. ეს თავისთავად ქმნის პრობლემას საგნების არჩევასთან დაკავშირებით და სტუდენტის მობილიზაციას ადუნებს. სასწავლო ბაზის მოულოდნელი გახსნა და ინფორმაციის ნაკლებობა აფერხებს სასურველი საგნების არჩევას, რაც, თავისთავად, უკვე პრობლემაა. ამასთან შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგნის გარეშე დარჩენა და იძულებით ისეთი საგნის არჩევა, რომელიც სტუდენტის ინტერესებში არ შედის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ჩვეულ მოვლენად იქცა. ამ პრობლემებთან დაკავშირებით მივმართეთ თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ რუსუდან ჩიქოვანს. მან ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ დამატებითი გამოცდების გვიან ჩაბარების მიზეზით, რეგისტრაციის ვადებმა გადაიწია. ვინაიდან ყველა სტუდენტი თანაბარ პირობებში უნდა ჩამდგარიყო, გადაწყდა აკადემიური რეგისტრაციის რამდენიმე დღით გაგრძელება. რაც შეეხება საგნების გამოტანის პრობლემას, როგორც სასწავლო დეპარტამენტში გავარკვიეთ, ეს დეკანატების პრეროგატივაა.

საკმაოდ საინტერესოა დამოკიდებულება ერთიანი საგამოცდო სისტემისადმი. ამ საკითხთან მიმართებაში სტუდენტებს ორი რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება აქვთ. პირველნი მიიჩნევენ, რომ მაღლივში გამოცდების ჩატარება ლექტორისადმი უნდობლობის გამოცხადებას ნიშნავს და შეურაცხმყოფელია. ხოლო მეორენი ფიქრობენ, რომ ერთიანი საგამოცდო სისტემის არსებობა უზრუნველყოფს სწავლის დონის ამაღლებას, რადგან სტუდენტს მეცადინეობის გარდა სხვა გზა არ რჩება. აღნიშნული პრობლემით მივმართეთ თსუ-ის საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ თეა იმედაძეს, რომელმაც ცალსახად უარყო საგამოცდო ცენტრის, როგორც პედაგოგის უფლებების შემზღუდავი ორგანოს არსებობა. „ამის დასამტკიცებლად ის არგუმენტიც კმარა, რომ პედაგოგი თავად ადგენს საგამოცდო ბილეთებს, ასევე, ადგენს გამოცდის ფორმატს და საბოლოოდ, თავადვე ამოწმებს ნაშრომებს", — განაცხადა თეა იმედაძემ. მისივე თქმით საგამოცდო ცენტრი მხოლოდ სტუდენტის მაკონტროლებელი ორგანოა, რომლის შექმნის მიზანი სწავლის დონის ამაღლებაა. ყოველი სემესტრის ბოლოს ჩატარებული სტატისტიკური კვლევების საფუძველზე საგამოცდო ცენტრში გვითხრეს, რომ სტუდენტებში სწავლის დონე სემესტრიდან სემესტრამდე საკმაოდ იზრდება.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მთავარ პრობლემად ჯერ კიდევ რჩება სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე არარსებობა. სტუდენტები ლექტორების დახმარებით ცდილობენ შექმნან კოლეგიები, სადაც ინგლისური და რუსული მასალები გადმოითარგმნება ქართულად. რაც შეეხება თავად უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ამ პროცედურაში ის არ მონაწილეობს. არ არსებობს არც ერთი ორგანო, რომელიც ამ პრობლემით დაინტერესდება და არსებულ ჯგუფებს დახმარებას გაუწევს.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის კომპიუტერიზაცია შესამჩნევად მიიწევს წინ, სტუდენტები მაინც გამოთქვამენ პროტესტს რესურსცენტრებისადმი. არ აკმაყოფილებთ ინტერნეტის ხარისხი და ამბობენ, რომ ადგილი კომპიუტერთან მუდამ დეფიციტია. სტუდენტების პროტესტს ეთანხმება საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბატონი არჩილ ელიზბარაშვილი. მასთან საუბრისას გაირკვა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის გამტარიანობა მაღალი არ არის, რადგან შექმნის დროს ის არ ჩამოყალიბებულა გარკვეული არქიტექტურით. 2010 წლიდან დაიწყო ახალი კომპიუტერიზაციის ტალღა, რაც, თავისთავად, გამოიწვევდა ქსელის კიდევ უფრო დატვირთვას. გარდა ამ პრობლემისა გაირკვა, რომ უნივერსიტეტი ყიდულობდა ძალიან დაბალი ხარისხის ინტერნეტპაკეტს. თუმცა 2010 წლიდან ხარისხი 4 ჯერ გაიზარდა, სერვისის მიწოდება ხდება ვაკე-საბურთალოს შვიდ საკომუნიკაციო კვანძში და ინტერნეტის ხარისხიანობას განაპირობებს ის, თუ თითო კვანძზე რა დოზით მოდის დატვირთვა. რაც შეეხება რესურსცენტრებში კომპიუტერების დეფიციტს, ამას ბატონი არჩილი უარყოფს და განმარტავს, რომ სტუდენტების მომრავლება მხოლოდ სემესტრის დასაწყისში, რეგისტრაციის დროს შეინიშნება.

სტუდენტების ენთუზიაზმი არ ცხრება. არც ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ეტყობათ დასვენება, წარმატებული შედეგების მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო და, პირველ რიგში, საკუთარ თავზე.

ზვიად ბარძაია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

სტუდენტთან პირისპირ

2

პრობლემას ქმნის ის, რომ რეალურად მათი ცოდნა პირველ დონეს არ შეესაბამება. ამით არის გამოწვეული, რომ მათ 2 სემესტრი არ ყოფნით. თუ დაკვეთა იქნება, რომ ვასწავლოთ უფრო მეტხანს, რასაკვირველია, ამას გავაკეთებთ.

დარეჯან თვალთვაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— უცხო ენის 4-წლიანი სწავლება არც ერთ ფაკულტეტზე არ არის. ჩვენ 20 კრედიტზე მეტის გამოყოფა ამ დისციპლინისთვის (ერთი ევროპული და ერთი აღმოსავლური ენა — სურვილისამებრ) არ შეგვიძლია, რადგან მხოლოდ 120 კრედიტი ეთმობა სპეციალობის საგნებს, დანარჩენს კი minor პროგრამა და თავისუფალი კრედიტები ავსებს. იმ სტუდენტებს, რომელთაც მეტი დრო ესაჭიროებათ უცხო ენის სათანადო დონეზე შესასწავლად, ვურჩევდი minor პროგრამის საშუალებით მოაგვარონ ეს პრობლემა.

? **მანუჩარ გუნცაძე**, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების VII სემესტრის სტუდენტი:

— ***სტუდენტები ხშირად ასეთ პრობლემას ვაწყდებით: ვირჩევთ საგანს და სასურველ ლექტორს, მაგრამ სწავლის დაწყების დროს პროფესორთა აკადემიური კონკურსების ჩატარების შემდეგ ან ის ლექტორი აღარ არის უნივერსიტეტში, რომელიც სტუდენტმა აირჩია, ან საგანი უქმდება. სტუდენტის თავისუფალი არჩევანი და სურვილი ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში აღარაა გათვალისწინებული. შეიძლება თუ არა ამ პრობლემის მოგვარება?***

დარეჯან თვალთვაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— კონკურსის წესი ისაა, რომ კადრები შეირჩეს. ბუნებრივია, რომ ვიღაც წავა და ვიღაც დარჩება. სტუდენტს, რასაკვირველია, აქვს უფლება, აირჩიოს სასურველი ლექტორი და საგანი, მაგრამ სტუდენტი არ ირჩევს — ვინ იყოს უნივერსიტეტის პროფესორი. ეს კონკურსი შემოდგომაზე ჩატარდა და, მართლაც დაემთხვა სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციას, მაგრამ ლექტორების დიდი ნაწილი დარჩა აკადემიური პერსონალის სიაში, ნაწილი კი მოწვეული პროფესორის რანგში კითხულობს ლექციებს. თუ რომელიმე ლექტორმა თავისი სურვილით არ მიიღო კონკურსში მონაწილეობა და არ ინდომა უნივერსიტეტის ლექტორობა, სამწუხაროა, მაგრამ სტუდენტებს უნდა ესმოდეთ, რომ ეს ჩვენგან დამოუკიდებლად ხდება. საერთოდ, ეს საკითხი არ დგას მუდმივ პრობლემათა რიგში. აკადემიური კონკურსები ხომ ყოველ სემესტრში არ ტარდება?

მოამზადა მარიამ გეჟიტაშვილმა

მოსლედ

ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტების პროტესტი

15 მარტს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა მე-6 კორპუსის წინ მოაწყვეს საპროტესტო აქცია „ნუ იტყუები!“, რომელიც მიმართული იყო ტელეკომპანია ,,იმედის" ეთერში გასული „მოდელირებული ქრონიკის“ იდეის წინააღმდეგ. ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა გააპროტესტეს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით ჟურნალისტური ეთიკის უხეშად დარღვევის ფაქტი.

2010 წლის აპრილიდან თსუ-ში ხელფასები კვლავ გაიზრდება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიუჯეტის ხარჯებს წლიდან წლამდე ზრდის, რათა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება ევროპულ მაჩვენებლებს მიუახლოვდეს და წარმატებული აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის ხელსაყრელი გარემო შეიქმნას.

მაია ტორაძე

თუ დღევანდელ სახელფასო ანაზღაურებას რეფორმამდელ პერიოდს შევადარებთ, ადვილად დავადასტურებთ, რომ მისი ზრდის დინამიკა საკმაოდ თვალშისაცემია. ამ ხნის განმავლობაში პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება საშუალოდ 10-ჯერ გაიზარდა. მაგალითად, თუ 2005 წელს თსუ-ის აკადემიური პერსონალის ხელფასები 117-დან 325 ლარამდე მერყეობდა და სრული პროფესორის ხელფასი 320 ლარით განისაზღვრებოდა, ასოცირებული პროფესორის — 256 ლარით, ხოლო ასისტენტ-პროფესორისა — 192 ლარით, დღეისთვის ეს მაჩვენებლები საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. კერძოდ, 2009 წლისთვის თსუ-ის სრული პროფესორის შრომის ანაზღაურება (ფაკულტეტების მიხედვით) მერყეობდა 900-დან 3000 ლარამდე, ასოცირებული პროფესორისა – 720-დან 2500 ლარამდე, ხოლო ასისტენტ-პროფესორისა — 400-დან 920 ლარამდე.

2010 წლის პირველ ნახევარში აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება სახელფასო დანამატის ხარჯზე კვლავ გაიზრდება. თსუ-ის საფინანასო დეპარტამენტის მონაცემებით, აპრილიდან თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება: სრული პროფესორისთვის 900; ასოცირებული პროფესორისთვის — 720; ხოლო ასისტენტ-პროფესორისთვის — 540 ლარით; ხელფასის შევსება დიფერენცირებულად ფაკულტეტებზე მოხდება დანამატის სახით და სრულ პროფესორს დაემატება 130-დან 2100 ლარამდე; ასოცირებულ პროფესორს — 110-დან 1480 ლარამდე; ასისტენტ პროფესორს — 90-დან 860 ლარამდე; ამდენად, აკადემიური პერსონალი შრომის ანაზღაურების სახით, მიიღებს: სრული პროფესორი — 900-დან 3300 ლარამდე; ასოცირებულ პროფესორი 720-დან 2800 ლარამდე; ასისტენტ პროფესორი 540-დან 1500 ლარამდე.

როგორც თსუ-ის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი საღარეიშვილი** ამბობს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობის სხვადასხვა ფორმის დანერგვის გზით ცდილობს შეინარჩუნოს და მოიზიდოს მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრები. ამ მიზნით ხელფასების პირველი სერიოზული მატება 2007 წელს მოხდა. „2008 წელს ჩვენ უკვე 2 მილიონი ლარი გამოვყავით ბიუჯეტიდან, რაც ფაკულტეტებზე გადანაწილდა და დანამატის სახით, გამომუშავებული საათებიდან გამომდინარე, მიეცა პროფესორ-მასწავლებლებს.

შრომითი ანაზღაურება, სახელფასო დანამატის ხარჯზე, 2009 წელსაც გაიზარდა. შემოღებული იქნა A და B კატეგორიები, რაც გულისხმობდა იმას, რომ უნივერსიტეტში შეგვენარჩუნებინა აკადემიური პერსონალი და აქვე შეგვექმნა ბაზა, რომელშიც მეცნიერი სრულად შეძლებდა სამეცნიერო პოტენციალის დახარჯვას.

2010 წლის ბიუჯეტში კვლავ გათვალისწინებულია შრომითი ანაზღაურების გაზრდა სახელფასო დანამატის ხარჯზე, რაც უკვე ფაკულტეტებზე იქნება დამოკიდებული. როგორც იცით, უნივერსიტეტის ექვსივე ფაკულტეტს დამოუკიდებელი ბიუჯეტი გააჩნია. ისინი თავად განკარგავენ თანხებს ხელფასებში, წარმომადგენლობით ხარჯებში, მივლინებებში, წიგნად ფონდში, ექსპედიციებში და სხვადასხვა მატერიალურ საშუალებათა შეძენისთვის. აქედან გამომდინარე, თითოეულ ფაკულტეტზე იმოქმედებს სახელფასო დანამატის გაცემისადმი ინდივიდუალური მიდგომა“, — აცხადებს ირაკლი საღარეიშვილი.

ფაკულტეტებმა სახელფასო დანამატების ზრდის ფორმულა უკვე შეიმუშავეს და აპრილის თვიდან აკადემიური პერსონალი გაზრდილ შრომით ანაზღაურებას მიიღებს.

ინიციატივა

უნივერსიტეტი თანამშრომელთა ჯანმრთელობას აზღვევს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგს" (GPIH) შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ემერიტუსები, მრჩეველთა საბჭოს წევრები და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტები 2010 წლის 1 მარტიდან ისარგებლებენ ჯანმრთელობის დაზღვევით.

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

სადაზღვევო პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებას: ასისტანსი — 24 საათიანი უფასო სატელეფონო მომსახურება; ოჯახის ექიმის მომსახურება, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება კომპანიის მხრიდან დაფინანსდება სრულად, შეუზღუდავად. პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩატარება, ასევე სრული დაფინანსებით, შესაძლებელია წელიწადში ორჯერ. გეგმიური ამბულატორიული მომსახურების ღირებულებას 700 ლარის ფარგლებში 80 პროცენტით ანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია. გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება დაიფარება კომპანიის მიერ 7500 ლარის ფარგლებში 90 პროცენტით, ხოლო გეგმიური სტაციონარული — სრულად 3000 ლარის ფარგლებში.

ექიმის მიერ გამოწერილ მედიკამენტებს 800 ლარის ფარგლებში დაზღვეული პირები შეიძენენ 70 პროცენტიანი ფასდაკლებით. გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება დაფინანსდება სრულად და შეუზღუდავად, ხოლო გეგმიური თერაპიული და ქირურგიული — 600 ლარის ფარგლებში 60 პროცენტით. გარდა ამისა, კომპანია ანაზღაურებს ორთოპედიული და ორთოდონტული სტომატოლოგიური მომსახურების 10-30 პროცენტს.

რაც შეეხება ორსულობას და მშობიარობას, დაფინანსება ხორციელდება 100 პროცენტით.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებს სამოგზაურო დაზღვევასა (წელიწადში სამი კვირა; 50 000 დოლარი) და სიცოცხლის დაზღვევას (4 000 ლარი).

როგორც თსუ-ის პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა ნათელა ლაცაბიძემ განაცხადა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2007 წლიდან გადავიდა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამაზე. ყოველ წელს ცხადდება ტენდერი და გამარჯვებულ კომპანიასთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

სადაზღვევო კომპანიები უნივერსიტეტს სთავაზობენ დამატებით მომსახურებასაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხელშეკრულებით მოწვეულ თანამშრომელს თვითდაფინანსებით შეუძლია სადაზღვევო მომსახურების მიღება, გარდა ამისა, პერსონალს შეუძლია დააზღვიოს ოჯახის წევრებიც (მეუღლე და შვილები).

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის პერსონალის დაზღვევისას მოხსნილია ასაკობრივი ზღვარი. როგორც წესი, სადაზღვევო კომპანიები თავს იკავებენ 60 წელს ზემოთ ასაკის ადამიანების დაზღვევისგან, მაგრამ „ჯი-პი-აიმ“ თსუ-ს შეღავათი გაუწია და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის ასაკობრივი ზღვარი გააუქმა.

დღეისთვის თსუ-ის 1200-მდე თანამშრომელია დაზღვეული. ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაზე გადასვლა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან პერსონალის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

არასოდეს მიფიქრია, სხვაგან შემოთავაზებული უფრო მაღალი ხელფასის გამო უნივერსიტეტი მიმეტოვებინა

ინტერვიუ პროფესორ ავთანდილ დემეტრაშვილთან

იშვიათია ადამიანი, რომელიც იმგვარი პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე, როგორიც საქართველომ გამოიარა, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა და ერთნაირად მისაღები დარჩა როგორც საზოგადოებისთვის, ასევე, თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრისთვის. მის კანდიდატურაზე ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ყოველთვის ადვილად თანხმდებოდა, რადგან ღირსეულად იცხოვრა და საკუთარი პრინციპებისთვის არასოდეს უღალატია.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ დემეტრაშვილი *კოლეგებისა და სტუდენტებისთვის მაღალი კვალიფიკაციის მქონე, საინტერესო და პრინციპული ლექტორია. სამეცნიერო მუშაობასთან ერთად იგი წლების განმავლობაში იყო დაკავებული საქართველოში საკონსტიტუციო სამართლის საკითხების მონესრიგებით.*

ბატონი ავთანდილი დღეს საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას ხელმძღვანელობს. გარემო, რომელშიც მას უწევს მუშაობა, ისეთივე სადა და საქმიანია, როგორიც თავად ბატონი ავთანდილი. მასთან საუბრისას გიჩნდება განცდა, რომ ამ ადამიანს ადვილად გამოსდის – ერთმანეთს შეუთავსოს სამეცნიერო მუშაობა და საკონსტიტუციო კომისიაში მოღვაწეობა, მაგრამ ამ თავშეკავებული საუბრის მიღმა, ცხადია, კოლოსალური შრომა და დიდი სამეცნიერო ინტელექტი იმალება.

პროფესორ ავთანდილ დემეტრაშვილთან ჩვენი ინტერვიუს მიზეზი ამჯერად მისი სტუდენტებისა და კოლეგების არჩევანი გახდა – იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა გასული წლის საუკეთესო პროფესორად დაასახელა.

მაია ტორაძე

— ბატონო ავთანდილ, სტუდენტებისა და კოლეგების არჩევანი თქვენთვის, ბუნებრივია, სასიამოვნო უნდა იყოს. საინტერესოა, როგორ ახერხებთ ამ საპასუხისმგებლო თანამდებობას პედაგოგისა და მეცნიერის საქმიანობა შეუთავსოთ?

— ისე ვარ შეზრდილი უნივერსიტეტის კოლექტივთან, მის ტრადიციებთან და სულისკვეთებასთან, ასე მგონია, დაბადებიდან უნივერსიტეტში ვარ.

სწავლა დავიწყე აქ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მერე რუსეთში გავაგრძელე, მაგრამ იმდენად მიმზიდველი იყო ჩემთვის ეს კოლექტივი, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრებისთანავე უკან დავბრუნდი და აგერ უკვე 40 წელია, რაც უნივერსიტეტში ვმუშაობ. დღესაც, როდესაც საკონსტიტუციო კომისიას წარმოვადგენ, ყოველთვის ვუსვამ ხაზს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვარ. ამას ვაკეთებ არა იმიტომ, რომ პროფესიულ საქმიანობას აღვნიშნავ, არამედ იმიტომ, რომ მეცნიერება და პედაგოგობა ჩემი ნამდვილი მოწოდებაა.

რაც შეეხება კონკრეტულ სამეცნიერო საქმიანობას — ვაგრძელებ მუშაობას თემაზე: „საქართველოს კონსტიტუციური ქრონიკები“. ეს წიგნი ძალიან მალე მომზადდება – ალბათ მომავალ სემესტრში დავასრულებ მასზე მუშაობას.

გარდა ამისა, უკვე დასრულებულია და მხოლოდ კორექტირება სჭირდება სამეცნიერო სტატიას „კონსტიტუციონალიზმის პარადიგმები საქართველოში“, რომელზე მოთხოვნაც ერთ-ერთი საზღვარგარეთული ჟურნალიდან წამოვიდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცემულ ჟურნალში, რომლის მეორე ნომერიც უკვე მზადდება, მალე დაიბეჭდება სტატია „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა საქართველოში“.

ჩემი სამეცნიერო ინტერესი კონსტიტუციასთან არის დაკავშირებული და იმ ცოდნას, რაც ასპირანტურაში და დისერტაციის დაცვის დროს შევიძინე, ამ საქმიანობაში ვიყენებ.

— ის ფაქტი, რომ კოლეგებმა წლის წარმატებული პროფესორად დაგასახელეს, ნიშნავს, რომ ხართ დიდი მეცნიერი, კოლეგიალური და კომუნიკაბელური ადამიანი, მაგრამ მხოლოდ ეს თვისებები არაა საკმარისი, რომ სტუდენტებისთვისაც საყვარელი ლექტორი იყოთ. თქვენი აზრით, სხვა ლექტორებისგან რა თვისებების გამო გამოგარჩევენ სტუდენტები?

— თუ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრს გადახედავთ, აღმოჩნდება, რომ, პირობითად, კედლის აქეთა და იქეთა მხარესაც (ხელისუფლებას და ოპოზიციას ვგულისხმობ) ძალიან ბევრი ჩემი ყოფილი სტუდენტია. ოპოზიციაში არიან: დათო უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, კობა დავითაშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, ხელისუფლებაში — პავლე კუბლაშვილი, კოტე კუბლაშვილი და კიდევ ბევრი სხვა. მათთვის მიუღებელი არასოდეს ვყოფილვარ. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ მიმაჩნია — სტუდენტთა ინტელექტუალური პოტენციალი, მათი შესაძლებლობა ყოველთვის უნდა გამოიყენო ქვეყნის სასიკეთოდ. როდესაც დღეს მოქმედი კონსტიტუციის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა, შევქმენი კონსტიტუციონალისტების ჯგუფი იმ პიროვნებებისგან, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე. მათ საშუალება მივეცი, ემუშავათ კონსტიტუციის პროექტზე და თავიანთი მოქალაქეობრივი ვალდებულება შეესრულებინათ.

არ დაგიმალავთ და ამ კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნა ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, რადგან არ ვიზიარებდი 2004 წელს განხორციელებულ კონსტიტუციურ რეფორმას. იმთავითვე ვიყავი და დღესაც შერეული მმართველობის ფორმის მომხრე ვარ. ეს კონსტიტუციაში, ტერიტორიულ მოწყობასთან ერთად, ძირითადი საკითხია.

ამ მეთოდს სტუდენტებთან დღესაც ვიყენებ, რადგან კვლევის შედეგად ისინი ახალ ცოდნას იძენენ. დღეს უნივერსიტეტში 150-კაციანი ჯგუფი მყავს. მათ შევთავაზე, რომ შეექმნათ პატარა ჯგუფი, რომელიც მიმდინარე კონსტიტუციურ რეფორმაში ჩაებმებოდა. აღმოჩნდა, რომ ეს „პატარა“ ჯგუფი 60-70 მსურველისგან დაკომპლექტდა და რადგან სხვებსაც ჰქონდათ მუშაობის სურვილი, მე და ჩემმა ასისტენტებმა ისინი გავინაწილეთ. ახლა 3-4 ჯგუფი მუშაობს კონსტიტუციის პროექტზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ მთავარია სტუდენტებს ენდო. ეს არის უპირველესი მოთხოვნა.

ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ დღეს ლექციის ყველაზე მისაღები ფორმა არის ინტერაქტიული ფორმატი — როდესაც სტუდენტს ესაუბრები და მასაც უსმენ, დიალოგს იწვევ. ალბათ ამითაცაა გამოწვეული ის ნდობა, რომელიც სტუდენტებმა გამომიცხადეს.

— საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის დღიდან აქტიურად ხართ ჩართული ამ პროცესებში, მაგრამ ამ თანამდებობაზე თქვენი არჩევა საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მაინც მოულოდნელი იყო, რადგან თქვენ არასოდეს ყოფილხართ პოლიტიკური მხარე და არასოდეს აკეთებდით პოლიტიკურ განცხადებებს ვინმეს საამებლად. საინტერესოა, კომისიის მუშაობის პროცესშიც ასეთივე მიუკერძოებელი ხართ? ითვალისწინებთ ოპოზიციის მოსაზრებებსაც? როგორ მუშაობთ?

— გეთანხმებით, რომ პოლიტიკაში ჩართული არასოდეს ვყოფილვარ, არც ყველა საკონსტიტუციო ცვლილებას ვეთანხმებოდი და დროის მოთხოვნის გამო ჩემი სამეცნიერო გემოვნებისათვის არასოდეს მიღალატია. არ დაგიმალავთ და ამ კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნა ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, რადგან არ ვიზიარებდი 2004 წელს განხორციელებულ კონსტიტუციურ რეფორმას. იმთავითვე ვიყავი და დღესაც შერეული მმართველობის ფორმის მომხრე ვარ. ეს კონსტიტუციაში, ტერიტორიულ მოწყობასთან ერთად, ძირითადი საკითხია. ჩემი ხედვაა, რომ საქართველოში მმართველობის ფორმა უნდა პასუხობდეს ერთ მოთხოვნას — რაც შეიძლება მეტად იყოს ორიენტირებული საზოგადოებაზე, ხალხის აზრზე. ვფიქრობ, რომ ეს მოთხოვნა გათვალისწინებული იქნება მმართველობის იმ ფორმაში, რომელსაც პირობითად ფრანგულს ან შერეულ მმართველობის ფორმას უწოდებენ. 1994 წელს საკონსტიტუციო კომისიის მდივანი გახლდით, მაშინაც ამ იდეას ვატარებდი და ახლაც ვცდილობ მისი ერთგული დავრჩე.

რაც შეეხება მიუკერძოებლობას, საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობა მოითხოვს არა მხოლოდ სამეცნიერო ცოდნის გამოყენებას, არამედ პოლიტიკურ ინტუიციასაც. მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო კომისია, აკადემიური პერსონალის გარდა, დაკომპლექტებულია პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებისგან. ყველასთან საჭიროა ურთიერთობის რაღაც ფორმის მოძებნა, რათა შესაძლებელი იყოს მათთან მუშაობა. არ ვხელმძღვანელობ პოლიტიკური ინტერესებით. ჩემი მიზანია ორი პრინციპის დაცვა — მეცნიერული ცოდნის გამოყენება და ქვეყნის ინტერესი, რომელსაც უნდა მოემსახუროს ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობაც და შესაძლებლობებიც.

- იმ წლებში, როცა საქართველოს განათლების სისტემას არც ისე ულხინდა, უნივერსიტეტი სხვადასხვა მიზეზის გამო ბევრმა პროფესორმა დატოვა და სხვა უნივერსიტეტში დამკვიდრდა. თქვენ გიფიქრიათ უნივერსიტეტიდან წასვლაზე?

— არ დაგიმალავთ და მქონდა შემოთავაზებები ძალიან პრესტიჟული უნივერსიტეტებიდან, მაგრამ არასოდეს მიფიქრია სხვაგან შემოთავაზებული უფრო მაღალი ხელფასის გამო მიმეტოვებინა ჩვენი უნივერსიტეტი.

ერთი ძალიან ზოგადი განცხადება უნდა გავაკეთო — ძალიან მიკვირს ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადება იმის შესახებ, რომ განათლების სისტემა ინგრევა, რომ ახლად შემოღებული განათლების სისტემა, რომელსაც ევროპულს უწოდებენ, უვარგისია საქართველოსთვის და ა.შ. არაფერს ვამბობ ზოგადი განათლების სისტემაზე, რადგან ჩემი შვილებისა და შვილიშვილების მაგალითზე ვხედავ, რომ საშუალო სკოლა დახმარებას საჭიროებს, მაგრამ უმაღლეს განათლებაში ჩემი ფაკულტეტის სახელით შემიძლია ვილაპარაკო — მიმდინარეობს თანმიმდევრული და მიზანმიმართული რეფორმა.

ვერავინ იტყვის, რომ დღევანდელი მაგისტრანტი იმავე დონისაა, რაც იყო უნივერსიტეტის წინა წლების კურსდამთავრებული. ამიტომ მიმაჩნია, რომ განათლების რეფორმა წარმატებით მიმდინარეობს. ხარვეზები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ მის ჩამოყალიბებას და დახვეწას დიდი დრო და მთელი საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება. როდესაც ერთად დავირაზმებით და გავითვალისწინებთ ბოლონიის პრინციპებს, უმაღლესი განათლებაც სათანადო დონისა იქნება, ოღონდ, ვიმეორებ, სასწრაფოდ უნდა ეშველოს ზოგად განათლებას.

— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი წარმატებული, აკმაყოფილებს თუ არა მისი ბაკალავრის ან მაგისტრის ცოდნის დონე თანამედროვე მოთხოვნებს?

— გამიჭირდება სხვა უნივერსიტეტებთან შედარება, რადგან არ ვიცი, რა მდგომარეობაა მათთან, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენი ფაკულტეტის რეფორმირების პროცესი საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობს. ამას მოწმობს თუნდაც ერთი მაგალითი — ამ ცოტა ხნის წინ, ამერიკიდან ჩამოვიყვანე ძალიან ცნობილი კონსტიტუციონალისტი და ვთხოვე წაეკითხა ლექცია. ის დამთანხმდა, ოღონდ ცხადია, მოისურვა ლექციის ინგლისურ ენაზე წაკითხვა. წარმოიდგინეთ, რომ იმ 200 კაციდან, რომელიც დარბაზში ისხდა, ნახევარზე მეტი ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი იყო. მათ თავისუფლად შეძლეს ინგლისურ ენაზე ლექციის მოსმენა და კითხვების დასმა. ეს ერთი პატარა მაგალითია, რაც იმის თქმის უფლებას მაძლევს, რომ რეფორმირების პროცესი ნორმალურად მიდის, თუმცა ჯერ ყველაფერი კიდევ წინაა.

— იმდენად დაკავებული ბრძანდებით, რომ თავისუფალი დრო ალბათ არც გრჩებათ, მაგრამ თუ გამონახეთ, როგორ ატარებთ მას?

— თავის დროზე სპორტსმენი გახლდით და ამიტომ აქტიური დასვენების მომხრე ვარ. სიამოვნებით ვთამაშობ ჩოგბურთს ჩემს კოლეგებთან ერთად. ჩემი საუკეთესო პარტნიორები და მოწინააღმდეგეები გახლავთ დათო კერესელიძე და გაგი კახიანი (ყოფილი ჩემი დოქტორანტი). ისე, აქვე გეტყვით, რომ ჩემმა ორმა დოქტორანტმა უკვე დაიცვა დისერტაცია და მათი ჩათვლით უკვე 10 დოქტორი მყავს გაზრდილი...

მიყვარს ბუნებაში გასვლა და თევზაობა, მაგრამ ჩემი გონება ამ ბოლო 8 თვის განმავლობაში მხოლოდ კონსტიტუციითაა დაკავებული. ვინმემ რომ მითხრას, ერთ სურვილს აუცილებლად შეგისრულებო, საქართველოსთვის კარგ კონსტიტუციას ვთხოვდი.

გენური ინჟინერია ბოროტებაა თუ კაცობრიობის ახალი იმედი?

გენური ინჟინერია – ეს არის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრული ნიშანთვისების მინიჭების მიზნით ხელოვნურად ერთი ორგანიზმიდან მეორეში ნებისმიერი გენის გადატანის საშუალებას იძლევა. უკვე რამდენიმე ათეული წელია მუდმივი დავის თუ კამათის საკითხია: გენური ინჟინერია მითია თუ რეალობა? ბოროტებაა თუ კაცობრიობის ახალი იმედი? უნდა გვეშინოდეს გენური ინჟინერიის განვითარების თუ არა? გვჭირდება თუ არა გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები? და ასე შემდეგ. ეს კითხვები ადამიანებს გაუჩნდათ გასული საუკუნის 70-80 წლებში, როდესაც ამერიკულმა კომპანიამ ,,მონსანტომ" საბაზრო ქსელში განათავსა გენმოდიფიცირებული ორგანიზმით (ორგანიზმი, რომელშიც წარმატებით ფუნქციონირებს სხვა ორგანიზმიდან გადატანილი გენ(ებ)ი ანუ ტრანსგენი) დამზადებული პირველი საკვები პროდუქტი. პირველად მოსალოდნელი რისკების შესახებ საუბარი თავად იმ მეცნიერმა დაიწყო, რომელიც გენური ინჟინერიის ფუძემდებლად ითვლება. კვლევები დაახლოებით 20 წლით ადრე მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო და უკვე 1972 წელს ამერიკელმა მეცნიერმა პოლ ბერგმა თანაავტორებთან ერთად გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც აღწერილი იყო გენური ინჟინერიის მეთოდით ორი სხვადასხვა დნმ-ის (გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი მოლეკულა) მოლეკულიდან (ვირუსის SV40 და ბაქტერიოფაგი λ) ჰიბრიდული მოლეკულის — პირველი რეკომბინანტული დნმ-ის მიღება. ამისთვის 1980 წელს პ. ბერგმა ორ სხვა მეცნიერთან ერთად ნობელის პრემია მიიღო.

პოლ ბერგის დიდი მცდელობის მიუხედავად — შეეჩერებინა ამ სახის კვლევები, გენური ინჟინერიის მეთოდები საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა. დღეს მთელ მსოფლიოში გენურ ინჟინერიასთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო. გენური ინჟინერიის გზით მიღებულ ორგანიზმებს და მათ საფუძველზე დამზადებულ პროდუქტებს ჰყავთ მომხრეები და პირიქით, უარყოფითად განწყობილი ადამიანებიც. პირველ რიგში ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები აქვთ თვით მეცნიერებს.

როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოქალაქე, ვის დაუჯეროს, სად და როგორ მიიღოს პასუხი ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე?

ჯერ კიდევ 2002 წელს მსოფლიოს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა დოკუმენტი სათაურით: „20 შეკითხვა გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების შესახებ“ (http://www.who.int/fsf). ეს არის კითხვები, რომელიც აღელვებდა და, სამწუხაროდ, დღესაც არ ასვენებს ადამიანებს. ერთი შეხედვით, დოკუმენტში თითქოს პასუხი ოცივე კითხვაზეა გაცემული. სრულიად ნათელი და ამომწურავია, მაგალითად, პასუხი შეკითხვაზე: რა არის გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი (გმო) და გმო საკვები პროდუქტები? ამ დოკუმენტის თანახმად, „გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი არის ორგანიზმი, რომლის გენეტიკური მასალა ისეა შეცვლილი, როგორც არ ხდება ბუნებრივ პირობებში". ამ განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ გენურ ინჟინერიაში გამოიყენება სახეობის გენეტიკურ კოდზე ზემოქმედების უკიდურესად რადიკალური მეთოდები, რომელთა მეშვეობით შეიძლება შეიქმნას ახალი ორგანიზმი, რომლის ბუნებრივ პირობებში წარმოქმნა შეუძლებელია.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შექმნის მომხრეები ცდილობენ დღეს ეს პროცესი განსაზღვრონ როგორც სელექცია, უფრო ზუსტად კი როგორც „დაჩქარებული სელექცია". მკითხველს მინდა შევახსენო, რომ სელექცია მნიშვნელოვნად განსხვავდება გენური ინჟინერიისგან და დაფუძნებულია მცენარეთა ან ცხოველთა მონათესავე ჯიშების შეჯვარებაზე. ის მიმართულია, რომ გააძლიეროს მცენარეული ან ცხოველური ორგანიზმის უკვე არსებული ესა თუ ის თვისება და შესაძლებელია, რომ ეს მოხდეს ბუნებრივ პირობებში.

გარდა ამისა, თუ ღრმად ჩავუკვირდებით ტექსტს, დავინახავთ, რომ დოკუმენტში დასმული ბევრი კითხვა კვლავ პასუხგაუცემელია. მაგალითად, შეკითხვაზე: რა ძირითადი პრობლემებია, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო უარყოფით ზემოქმედებას ახდენდეს? ჩამოთვლილია რისკები: ტოქსიკური ზემოქმედება ორგანიზმზე, ალერგიული რეაქციები, გენის გადატანა და სხვა. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი. როგორია, მაგალითად, პასუხი გენის გადატანის საშიშროებაზე, განსაკუთრებით ისეთი გენის შემთხვევაში, რომელიც განსაზღვრავს ანტიბიოტიკებისადმი მდგრადობას. „მიუხედავად იმისა, რომ გენის გადატანის ალბათობა დაბალია, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა გადაწყვეტილებით, გაკეთებულია რეკომენდაცია ისეთი ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე, რომლებიც არ გულისხმობს ანტიბიოტიკებისადმი მდგრადობის განმსაზღვრელი გენის გადატანას". ეს რეკომენდაცია გაიცა იმის გამო, რომ ექსპერტებმა რისკი ვერ გამორიცხეს. საყურადღებოა ისიც, რომ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საფუძველზე დამზადებული პროდუქტების გამოყენების ეს ერთადერთი რისკი არ არის.

დღეს მეცნიერები აღიარებენ, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენებით კატასტროფულად იზრდება ალერგიებით და ჭარბწონიანობით დაავადებული ადამიანების რიცხვი. ვნებათაღელვა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც ტრანსგენური სოიოთი გამოკვებილ თაგვებზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნდა. ასეთი ცხოველების შთამომავლობა აღმოჩნდა სრულიად დაავადებული, გაიზარდა ახალშობილთა სიკვდილიანობა, ხოლო გადარჩენილი თაობა უნაყოფო აღმოჩნდა.

ბოლო წლებში გამოქვეყნებული ცალკეული შრომებიდან გამომდინარეობს, რომ საშიში უშუალოდ გადატანილი გენი კი არ არის, არამედ მისი მატარებლები: ვირუსი ან პლაზმიდა. ამ შრომების თანახმად, საკვებად გამოყენებად მცენარეებში გადატანილი გენური კონსტრუქციები არ იშლება საჭმლის მომნელებელ სისტემაში.

შეიძლება თუ არა ავიცილოთ თავიდან ტრანსგენური პროდუქტების გამოყენება? საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული გამოკვლევებით (International Food Policy Research Institute), მსოფლიოს ბევრ რეგიონში ტრანსგენური პროდუქტების გამოყენება სულ უფრო და უფრო მატულობს. რატომ ხდება ასე? გენური ინჟინერიით მიღებული ორგანიზმებისთვის დამახასიათებელია უხვმოსავლიანობა, ასეთი მცენარეები უფრო მდგრადებია და უძლებენ ხანგრძლივ ტრანსპორტირებას, შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს მათში ვიტამინის შემცველობა და ა.შ. ასეთი შეძენილი ბევრი სასარგებლო თვისების გამო გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საფუძველზე დამზადებული პროდუქტი ერთი შეხედვით უფრო ხელსაყრელი და მიმზიდველია. ეს საშუალებას იძლევა საბაზრო ქსელი მუდმივად გაჯერდეს ასეთი პროდუქციით.

ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გენური ინჟინერია ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა მეცნიერებაა, ამიტომ შეუძლებელია გაითვალოს, როგორ აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე ასეთი პროდუქტების ხანგრძლივი გამოყენება. იმისათვის, რომ საბოლოოდ დავრწმუნდეთ, არსებობს თუ არა ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი, აუცილებელია გავიდეს დაახლოებით 50 წელიწადი, რათა შეფასდეს ადამიანების რამდენიმე თაობა, რომლებიც გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საფუძველზე დამზადებული პროდუქტებით იკვებებოდნენ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენების მავნე შედეგების საშიშროებაზე მეცნიერები დიდხანს იდავებენ, მაგრამ თუ დღეს ჯერ კიდევ არსებობს თუნდაც მცირე საშიშროება, გონივრული იქნება, რომ: ავირიდოთ ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები; ნუ წავართმევთ ადამიანს უფლებას — თავად გადაწყვიტოს, როგორ იცხოვროს და რითი იკვებოს. სწორედ ამაზე მიგვითითებს და გვაფრთხილებს ჩვენი ერის სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II: „აუცილებელია გავაცნობიეროთ — რა გარემოში ვცხოვრობთ, რომელი ტენდენციებია მნიშვნელოვანი, რა არის მისაღები და რა უარსაყოფი" (საშობაო ეპისტოლეები 2007, 2008 წწ.).

დიანა ძიძიგური,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

აღმოჩენა

ბიბლიური არქეოლოგიის უდიდესი მონაპოვარი

2002 წლის ნოემბერ-დეკემბრის ჟურნალ ,,ბიბლიური არქეოლოგიის (Biblical Archaeology Review) მიმოხილვაში" დაიბეჭდა სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის ანდრე ლემერის წერილი: „იაკობის, ქრისტეს ძმის დასაკრძალავი ურნა“, — ეს პირველი არქეოლოგიური დადასტურება იყო ქრისტეს და მისი ძმის იაკობის არსებობისა. რადგან საქმე ეხებოდა იერუსალიმში შემთხვევით აღმოჩენილ და კერძო კოლექციაში დავანებულ არტეფაქტს, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებრიობა ამ ფაქტს უნდობლად მოეკიდა. მეორადი დაკრძალვისთვის განკუთვნილ 0.60 მ x 0.40მ ზომის ქვის ძვლების შესალაგ ოსუარს (ლუსკუმს) არამეულ ენაზე ამოჭრილი ჰქონდა წარწერა: „იაკობი, ძე დავითისა, ძმა იესოსი“. მთელი ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ ურნის კომპლექსური ექსპერტიზა, რომლის შედეგები გამოქვეყნებულია და ყველასთვის ხელმისაწვდომი

გახლავთ. პალეოგრაფიულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ მსგავსი ე.წ. კურსივული დამწერლობის სახეობა არამეულში გამოიყენებოდა მხოლოდ და მხოლოდ ახ. წ. I ს. დაახლოებით ახ. წ. 10-70 წწ. შორის. წარწერის აუტენტურობა ავტორიტეტულმა ექსპერტიზამ დაადასტურა. პროფესორი ანდრე ლემერი იძლევა მის აბსოლუტურ თარიღს ახ.წ. 63 წ. ისრაელში, გეოლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა პეტროგრაფიული ანალიზები, რომლის თანახმადაც აღნიშნული ურნა დამზადებულია კირქვისაგან, მისი კარიერი იერუსალიმთან არის დაკავშირებული. მას აქვს სიძველის დამადასტურებელი თავისებური დანაფენი ე.წ. პატინა. ჩვეულებრივ ასეთი ზედაპირული დანალექი წარმოიშობა დახურულ, მღვიმე-გამოქვაბულისთვის დამახასიათებელ გარემოში. მას აქვს სპეციფიკური ყვავილოვანი კომბოსტოსთვის დამახასიათებელი ფერი. განსაკუთრებით აღინიშნა მეტად მნიშვნელოვანი გარემოება – ანალიზმა არ დაადასტურა არავითარი კვალი თანამედროვე ატმოსფერული ზეგავლენისა! ამ ეპოქის ყველა ასეთი ურნა მშენებლებმა თუ არქეოლოგებმა მღვიმე-გამოქვაბულებში აღმოაჩინეს, მათ შორის არის მაცხოვრის თანამედროვეების ავადსახსენებელი მღვდელმთავარ კაიფასა და პონტი პილატეს წარწერებიანი ოსუარები.

გამოცანად რჩება მხოლოდ ის ფაქტი, თუ რატომ დაიკრძალა მაცხოვრის ძმა იაკობი ამ ძველი ებრაული, მეორადი დაკრძალვის წესით. შესაძლოა, მის დროს ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული დოგმატური ქრისტიანული დაკრძალვის ახალი წესები.

ახალ აღთქმაში, საღვთო წერილში იაკობი რამდენჯერმე არის მოხსენიებული (მათე 13:55,56) როგორც ქრისტეს უფროსი ძმა. მოციქულ პავლეს წერილში „გალატელთა მიმართ“ ვკითხულობთ: იერუსალიმში „სხვა მოციქულთაგანი არვინ მინახავს, გარდა უფლის ძმის იაკობისა“ (1:19). თავად მოციქული იაკობის წერილი, რომელიც ხუთი თვისგან შედგება, წარმოგვიჩენს მას, როგორც ქრისტიანობის გულწრფელ მიმდევარს, რომლის შეგონებებს, მაგალითად, „საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით!“ (2:24) დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა...

ამგვარად, იაკობის დავითის ძის და იესოს ძმის საფლავის აღმოჩენა პირდაპირი დადასტურებაა მათი რეალური, ისტორიული არსებობისა, რასაც ათეისტები დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ. ,,ბიბლიური არქეოლოგიის მიმომხილველის მთავარი რედაქტორი გ. შენსკი სამართლიანად აღნიშნავდა: იაკობის ოსუარი ბიბლიური არქეოლოგიის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენაა.

გურამ ლორთქიფანიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

რა რეალობა იმალება კელტებისა და გერმანელების ისტორიული სინამდვილეების მიღმა

თსუ-ში დღეისთვის 776 დოქტორანტი ემზადება საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვისა და მეცნიერებაში გარკვეული ადგილის დამკვიდრებისთვის. ახალგაზრდა მეცნიერი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი ნიკო სილაგაძე საინტერესო მეცნიერულ კვლევას ატარებს შუა საუკუნეების ევროპის ისტორიოგრაფიაში. იგი მუშაობს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ევროპის ე.წ. „ბარბაროსი" ხალხების ეთნიკური ისტორიის საკითხებზე, რომელიც კვლევის მეტად რთულ ობიექტს წარმოადგენს. თემის სახელწოდებაა: „ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა". ნაშრომი თითქმის დასრულებულია. მისადმი მიძღვნილი რამდენიმე სტატია სამეცნიერო კრებულებში უკვე გამოქვეყნდა. დოქტორანტს გამოკვლევის ცალკეული დეტალების შესახებ მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზეც ჰქონდა წარდგენილი. თემის ხელმძღვანელები შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტი გურამ კუტალია და ძველი მსოფლიოს ისტორიის სპეციალისტი ჯემალ შარაშენიძე არიან. ორი ხელმძღვანელის ყოლის აუცილებლობა, ძირითადად, თემის სპეციფიკამ გამოიწვია. ნაშრომი ძველი მსოფლიოს ისტორიისა და მედიევისტიკის მომიჯნავე საკითხებს ეხება. კვლევის შესახებ უფრო დაწვრილებით ანალიზს ნაშრომის ავტორი თავად წარმოგვიდგენს:

— ანტიკური პერიოდის ავტორები ევროპის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს გერმანელებისა და კელტების სახელით იხსენიებდნენ. მათ ბერძნები და რომაელები თრაკიელების, ილირიელების, სკვითებისა და სხვების მსგავსად ე.წ. „ბარბაროს" ხალხებად თვლიდნენ. დღესდღეობით კელტოლოგია და გერმანისტიკა მეცნიერების კომპლექსური დარგებია, რომლებიც ამ ხალხების სხვადასხვა პერიოდის ყოფას, ისტორიასა და კულტურას შეისწავლიან. თუმცა ჩვენი კვლევის ობიექტი შედარებით ვიწროა. კერძოდ, ჩვენი მიზანია, განვსაზღვროთ, თუ რა ისტორიული რეალობა იმალება ბერძნებისა და რომაელების მიერ კელტიკად და გერმანიად სახელდებული ისტორიული სინამდვილეების მიღმა. თანამედროვე გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ამ კუთხით რომაული და ბერძნული სტერეოტიპები, რომლების ტრანსლაციის ტენდენციასაც ხშირად ვხვდებით XIX-XX საუკუნეების ისტორიოგრაფიაში, ერთგვარ გადასინჯვას მოითხოვს.

— ***რამდენად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა? როდიდან ეყრება საფუძველი მის შესწავლას?***

— მართალია, ანტიკური ხანის ავტორები ყველანაირად ცდილობენ კელტები და გერმანელები „ბარბაროს" ხალხად დაგვიხატონ, მაგრამ შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ მათ ევროპის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს. ამ მხრივ, ვფიქრობთ, იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ სწორედ კელტების სახელს უკავშირდება ევროპაში რკინის მეტალურგიის გავრცელება და ჰალშტატისა და ლატენის შესანიშნავი არქეოლოგიური კულტურების შექმნა. გერმანული ელემენტი კი დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ცივილიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს უჯრედად იქცა.

კელტებისა და გერმანელების სიძველეებით, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორები ინტერესდებოდნენ. თუმცა, მათი ეთნოგენეზის საკითხის კვლევა განსაკუთრებით პოპულარული XVIII-XIX საუკუნეებში გახდა. ამ პერიოდში ნათელი შეიქმნა, რომ ირლანდიელების, უელსელების, ბრეტონელებისა და შოტლანდიელების ენები ერთმანეთის მონათესავეა (ე. ი. საერთო ძირიდან მომდინარეობს) და მათ ბევრი საერთო აქვთ ანტიკურ კელტებთან, რომელთა ისტორიასაც ანტიკური ხანის ავტორები (მაგალითად, იულიუს კეისარი), აშუქებენ. ეს დებულება ბრიტანეთის კელტი ხალხების ხელში, რომლებიც ინგლისის ექსპანსიის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მძლავრ იდეოლოგიურ იარაღად იქცა. ფართო ხასიათი მიეცა მათი სიძველეების შესწავლასაც. აღნიშნული საკითხისთვის მნიშვნელოვანი მრავალი პრობლემა კომპლექსური კვლევის ობიექტი გახდა.

გერმანელების სიძველეების შესწავლისადმი ინტერესის გაღვივებაც აღმავალი ეროვნული მოძრაობის ფონზე მოხდა. მის მიმართ ინტერესის გაძლიერებას თვით სახელმწიფო უწყობდა ხელს. იგი XIX საუკუნის 70-იან წლებში გერმანიის გაერთიანების ერთ-ერთ იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა. XVIII საუკუნეში კი დაქსაქსული და დაჩაგრული გერმანელი ხალხისთვის ნუგეშს წარმოადგენდა.



საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული შედარებითი მეთოდის საფუძველზე ჩატარებული ეთნო-გენეტიკური გამოკვლევები მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს, ერთგვარ „ნაღმს" წარმოადგენენ, რასაც ცალსახად ადასტურებს ის როლი, რომელიც მათ დღემდის ბასკონიის, ბალკანეთის, აფრიკის, შრილანკის და სხვა რეგიონის ხალხების სეპარატისტულ მოძრაობებში დღემდე უჭირავთ. ამ მხრივ, გამონაკლისს არც გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა წარმოადგენს. მათი წარმომავლობის საკითხმა ნაციონალისტური ელფერი ჯერ კიდევ ჰუმანიზმისა და რომანტიზმის ეპოქაში შეიძინა. ეს ელფერი მას არც შემდგომ პერიოდებში დაუკარგავს. გერმანელების შემთხვევაში ამის დასადასტურებლად, ვფიქრობთ, ამ ქვეყნის I მსოფლიო ომის წინანდელი და ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური ისტორიოგრაფიის უბრალო ხსენებაც საკმარისი იქნება. კელტებზე საუბრისას კი უნდა ითქვას, რომ ის მუხტი, რომელიც ამ ოჯახის ენებზე მოსაუბრე ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას XVIII საუკუნის II ნახევარში მათი საერთო წარმომავლობის იდეამ მისცა, მას დღემდე არ დაუკარგავს. ამას თუნდაც ის გარემოება ადასტურებს, რომ თანამედროვე კელტოლოგიაში არსებული მეცნიერული დავა „პროტოკელტური" სინამდვილის ეთნიკური თვალსაზრისით რაობის შესახებ ბრიტანეთის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ეს კი ეთნოგენეზის ისედაც სადისკუსიო პრობლემების შესწავლას კიდევ უფრო ართულებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ კელტები და გერმანელები დღემდე სხვადასხვა მულტფილმებისა და კინოების პოპულარულ პერსონაჟებს წარმოადგენენ. ამ მხრივ, ვფიქრობთ, ასტერიქსისა და ობელიქსის შესახებ მულტფილმის და ვიკინგების შესახებ კომიქსების უბრალო ხსენებაც საკმარისი იქნება, მაგრამ სამეცნიერო გამოკვლევების ფურცლებზე მათი სიძველეების შესწავლა გაცილებით უფრო რთულ და ნაკლებად რომანტიკულ საკითხად გამოიყურება.

— ***მაინც რა პრობლემებს ვაწყდებით ამ საკითხის კვლევის დროს?***

— პრობლემებს კვლევის ობიექტის დასათაურების პროცესშივე ვაწყდებით. საქმე ისაა, რომ, მაგალითად, ტერმინი კელტი, დღეს სულ ცოტა ცხრა მნიშვნელობით მაინც იხმარება. კელტები და გერმანელები, ისევე როგორც ევროპის სხვა ე.წ. ,,ბარბაროსი" ხალხების ისტორიული სინამდვილეები დიდი ხანია მეცნიერული შესწავლის ობიექტია. თითქმის ყველა თაობის მეცნიერები ამ საკითხების ახლებურად დანახვას ცდილობენ. ისტორიოგრაფიაში შეიძლება საუბარი შეგვხვდეს კელტებზე და გერმანელებზე 1) როგორც ხალხზე, 2) როგორც ისტორიულ სინამდვილეზე, რომელიც მხოლოდ ბერძნებისა და რომაელების წარმოდგენაში არსებობს, 3) როგორც ტოპონიმზე ან პოლიტონიმზე. ამ ფონზე არც თუ უსაფუძვლოდ გამოიყურება კელტური სიძველეების მკვლევრის ვ. მეგოუს სიტყვები იმის შესახებ, რომ თანამედროვე მეცნიერები კელტების სიძველეებს მრავალი კუთხით იკვლევენ, მაგრამ მათ არ აქვთ პასუხი მთავარ კითხვაზე: „ვინ იყვნენ კელტები?". აქვე არც ის პრობლემები უნდა დავივიწყოთ, რომელიც, ზოგადად, ინდოევროპეისტიკაზე და ძველი პერიოდის ხალხების ეთნოგენეზის პრობლემებზე მსჯელობას ახლავს თან. ამ მხრივ კვლევაში, ტრადიციულად, წერილობითი წყაროების, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და სხვა მეცნიერებებისა და მეცნიერული დისციპლინების მონაცემებს იყენებენ, რომლებიც იშვიათად იძლევიან სინქრონული დასკვნების გაკეთების საშუალებას. ეს გარემოება, სადღეისოდ, მთელი რიგი თეორიული საკითხების გადასინჯვას იწვევს და „ეთნოგენეზოლოგიის" ერთგვარ კრიზისს განაპირობებს.

— ***ქართულ ისტორიოგრაფიაში თუ ყოფილა მცდელობა ამ საკითხის მეცნიერული კვლევისა?***

— ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, ქართულ სინამდვილეში კელტების ისტორია მონოგრაფიული შესწავლის ობიექტი არასოდეს ყოფილა. კელტების სიძველეების შესახებ საუბარია რამდენიმე სტატიაში, მაგრამ უშუალოდ კელტები და, მით უმეტეს, მათი ეთნოგენეზის პრობლემა ჯერ არავის გაუშუქებია. ძველი გერმანელები ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით უკეთ არიან გაშუქებული, რადგან თსუ-ში მედიევისტიკისა და გერმანისტიკის მიმართულებები არსებობს. თუმცა, ისტორიული თვალსაზრისით, ანტიკური ხანის გერმანიის რაობის საკითხს ჯერ არავინ შეხებია.

ესაუბრა თამარ მარუაშვილი

აფხაზური პოეზიის თარგმანი კულტურათა შორის დიალოგს ემსახურება

საიდა დელბა

სამშობლოწართმეული კაცის ნაამბობი

იგი ვარ, ვინაც ცას შევეშალე,
ვის გულშიც ცეცხლი აღარ ნელდება,
მე ნაფერები მიწა წამართვეს
უცხო თვალებმა, უცხო ხელებმა!
ვინღა იმღერებს ტანჯულ მხარეში,
უკურნებელი მტანჯავს ტკივილი,
ის ვარ, ვინც გულში შემოგისახლდით -
თქვენი დარდი და თქვენი წუხილი!

თარგმნა ანა კოპალიანმა

უკვე ერთი წელია, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ჩამოყალიბდა. ცენტრი ქართველ და აფხაზ საზოგადოებას შორის არსებული დაძაბული ვითარების განმუხტვას სხვადასხვა სახის კულტურული თუ საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვის გზით ცდილობს. 2009-2010 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ცენტრის დირექტორის ზურაბ შენგელიას ინიციატივითა და ხელშეწყობით თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის" პროგრამის მაგისტრანტებმა რამდენიმე თანამედროვე აფხაზი პოეტის ლექსები თარგმნეს.

ნატო ოგოლაძე

„ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიზანია, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მეცნიერული შესწავლის პროცესში საზოგადოებაც ჩავრთოთ. უკვე განვახორციელეთ რამდენიმე პროექტი. ამჯერად, თანამედროვე აფხაზურ პოეზიას ვთარგმნით. ჩვენ პირადად დავუკავშირდით აფხაზ პოეტებს და ვთხოვეთ, თავიანთი შემოქმედების რამდენიმე ნიმუში გამოეგზავნათ. მათი თემატიკა მრავალფეროვანია. წერენ ომის შესახებაც, მაგრამ ზოგიერთი ლექსი გამაღიზიანებელი, ლოზუნგის სტილით იყო დაწერილი, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ თემატიკისათვის თავი აგვერიდებინა.

აფხაზმა პოეტებმა თვითონ მოგვაწოდეს ლექსების პწკარედი ზოგი ქართულ, ზოგიც რუსულ ენაზე. ვფიქრობ, რომ ასეთი სახის ღონისძიებები აუცილებელი და საჭიროა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ჩვენი სტუდენტებიც დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ შეთავაზებულ სამუშაოს", – გვითხრა ზურაბ შენგელიამ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების მომსახურების უფროსმა, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა ნანა გაფრინდაშვილმა აფხაზური პოეზიის სათარგმნად მთარგმნელობითი მიმართულების ყველაზე რეიტინგული მაგისტრანტები შეარჩია. მისი განცხადებით, სტუდენტები დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ ლექსების თარგმნის პროცესს.

„ვფიქრობ, ეს პროექტი ბევრი თვალსაზრისით არის საინტერესო. ზოგადად, მხატვრული თარგმანი კულტურათა შორის დიალოგს ემსახურება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. ლექსების თარგმნის პროცესი უკვე დასრულებულია, აფხაზური პოეზია თარგმნეს ჩვენმა სტუდენტებმა: ნინო ლარცულიანმა, ანა ბაქანიძემ, ირინა ხატიაშვილმა, ნათია ფურცელაძემ, სალომე ციხისელმა და ანა კოპალიანმა", — აღნიშნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა.

ქართულ და აფხაზურ საზოგადოებას შორის შექმნილი საინფორმაციო ვაკუუმი კონფლიქტის მოგვარებას კიდევ უფრო ართულებს. ქართველების მიმართ აფხაზეთში არსებული დამოკიდებულება, რომელიც, პოლიტიკოსების გარდა, საზოგადოების უმეტეს ნაწილს გააჩნია, ვითარებას ერთიორად ამძიმებს. კონფლიქტამდე ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობები საკმაოდ ინტენსიური იყო. ბევრი მწერლის შემოქმედება ითარგმნა ქართულიდან აფხაზურად და პირიქით. საკმაოდ კარგად იცნობდა ქართველი მკითხველი აფხაზურ ლიტერატურას და აფხაზებიც ინტერესით ეცნობოდნენ ქართველი მწერლების შემოქმედებას, თუმცა, ბოლო პერიოდში ეს პროცესი შეჩერდა.

ამ დროისთვის თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მთარგმნელობითი მიმართულების მაგისტრანტებმა სხვადასხვა ავტორის (შამილ ფილია, ანატოლი აჯინჯალი, საიდა დელბა, ვალერი ბიგვავა, გენადი კვიწინია, გუნდა კვიწინია, ვლადიმერ ახიბა, ვიტალი ამარშან, ალხას კვარჭია, გენადი ალამია, ნიკუალა კუწმია, ვლადიმერ ზანთარია, ლაურ ლასურია, მუშნი მიქაია, რუშბეი სმირი, სერგეი ადინია და მუშნი ლასურია) 20-ზე მეტი ლექსი თარგმნეს. მუშნი ლასურია აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" თარგმანის ავტორია. მას რუსთაველის სახელობის პრემიაც გადაეცა, თუმცა, აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებმა პრემიის მიღებაზე უარი ათქმევინეს. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი აფხაზური პოეზიის თარგმნას კიდევ აგრძელებს, შემდეგ კი კრებულის გამოცემასაც გეგმავს.

ახალი უნივერსიტეტი

ქართული პარლამენტარიზმის სათავეები

1919 წლის 12 მარტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა საქართველოს ისტორიაში, რადგანაც ამ დღეს პირველად შეიკრიბა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო — დამფუძნებელი კრება. ეს იყო დამოუკიდებელ საქართველოში პირველი არჩევნების შედეგად არჩეული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომლის ფუნქციონირების შესახებაც ინფორმაცია და რომლის როლზეც პირველ ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოში, ვფიქრობთ, დღევანდელმა თაობამ უნდა იცოდეს. აღსანიშნავია, რომ დამფუძნებელმა კრებამ საფუძველი ჩაუყარა ქართული პარლამენტარიზმის ტრადიციებს, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებისა და განვითარების თვალსაზრისით.

შურთხია ბერეშვილი

XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მართალია, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა და ოფიციალურად გამოაცხადა, მაგრამ ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის საჭირო იყო მომდევნო, სწორი ნაბიჯების გადადგმა. დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე სახელმწიფომ პოლიტიკური მმართველობის ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა აირჩია, შემდგომი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი კი ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და საკანონმდებლო ორგანოს შექმნა იყო, რაც იმდროინდელმა მთავრობამ საკმაოდ წარმატებულად განახორციელა.

1919 წლის 14-16 თებერვალს დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — დამფუძნებელი კრების — არჩევნები. არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჩხეიძე. პირველსავე სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი". დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 21 მარტს დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

უნივერსიტეტის პროფესორის, პოლიტოლოგ მალხაზ მაცაბერიძის თქმით, პირველმა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, რომელმაც 1921 წლის 17 მარტამდე იარსება, დიდი როლი შეასრულა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება კანონმდებლობის შექმნა და საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღება.

,,იმდროინდელი დამფუძნებელი კრების მუშაობა მთლიანობაში დადებითად შეიძლება შევაფასოთ. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ მათ ძალიან რთულ პირობებში შეძლეს საკანონმდებლო ბაზის შექმნა არა მარტო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის... 1921 წლის კონსტიტუციის სახით დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ის დოკუმენტი, რომელმაც შემდგომ პოლიტიკური ზეგავლენა მოახდინა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებზეც. ამ გადასახედიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ამოცანა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ წარმატებით განახორციელა", — აღნიშნავს მალხაზ მაცაბერიძე.

როგორ ჩატარდა პირველი არჩევნები, შეიძლება თუ არა მას ვუწოდოთ სამართლიანი და დემოკრატიული იმ პირობების გათვალისწინებით, რა სიტუაციაც მაშინ საქართველოში სუფევდა. როგორც პოლიტოლოგი აღნიშნავს: ,,საქართველოს განაცხადი იყო დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, ბუნებრივია, წარმომადგენლობითი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იყო ამის განხორციელება, ამიტომ ისინი თავიანთ ერთ-ერთ ამოცანად თვლიდნენ არჩევნების ჩატარებას და ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც ხალხის სახელით ლეგიტიმურად ილაპარაკებდა და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებდა. არჩევნები 1919 წლის თებერვალში ჩატარდა პროპორციული საარჩევნო სისტემით, ყოველგვარი საარჩევნო ბარიერის გარეშე, რომელშიც 15 პარტია მონაწილეობდა, თუმცა დამფუძნებელ კრებაში გავიდა მხოლოდ რამდენიმე პარტია. არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა, მათ საკანონმდებლო ორგანოში 109 დეპუტატი გაიყვანეს, თუმცა შემდგომში მათი რაოდენობა 103 დეპუტატამდე შემცირდა, რადგან 1919 წლის ზაფხულში ჩატარდა დამატებითი არჩევნები საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ეს თებერვალში ვერ მოხერხდა და იქაურმა არჩევნების შედეგებმა შეცვალა თანაფარდობა. გარდა სოციალ-დემოკრატებისა, საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი პარტიები: სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების და სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) პარტიები, მოგვიანებით შევიდა დაშნაკთა პარტიის მცირე ჯგუფი, რომლებიც ჯავახეთის მხარეში მცხოვრებმა სომხებმა აირჩიეს დამატებითი არჩევნების დროს".

დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უზრუნველყო იმ აუცილებელი კანონებით, რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო. დამფუძნებელ კრებას პასუხის გაცემა უხდებოდა ყველა იმ გამოწვევაზე, რომელიც იმდროინდელ საქართველოში არსებობდა, მათ შორის, მნიშვნელოვანი იყო ეკონომიური რეფორმის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ სოფლად აგრარული რეფორმის გატარება უმტკივნეულოდ არ მომხდარა. ამ რეფორმის შედეგად სოფლად აჯანყებები შეწყდა, რასაც ბოლშევიკები ხშირად იყენებდნენ ხოლმე ხელისუფლების წინააღმდეგ.

დამფუძნებელი კრების უფლებამოსილება შეწყდა (დე-ფაქტო) 1921 წლის 17 მარტს. თბილისის დატოვების შემდეგ დამფუძნებელი კრების სხდომა ჯერ ქუთაისში გაიმართა, ხოლო 17 მარტს ბათუმში, სადაც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა წასულიყო ემიგრაციაში და გაეგრძელებინა ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამრიგად, საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ და უმაღლესმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ სცნეს საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაცია და ანექსია. დამფუძნებელი კრების წევრების ნაწილი საქართველოში დარჩა. დე-იურე დამფუძნებელ კრებას უფლებამოსილება ჰქონდა 1921 წლის 17 მარტის შემდეგაც, რადგან დამფუძნებელი კრების უფლებამოსილების შეწყვეტა, სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველოს ახალ უკანონო ხელისუფლებას (რევოლუციურ კომიტეტს) არ შეეძლო.

შეგვიძლია თუ არა გარკვეული პარალელები გავავლოთ იმდროინდელი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსა და დღევანდელ პარლამენტს შორის? — ამ კითხვაზე პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე პასუხობს: ,,იმ პერიოდამდე ცხრა ათეული წელი გვაშორებს. ცხადია, უშუალო მემკვიდრეობაზე საუბარი შეუძლებელია. მაგრამ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამფუძნებელმა კრებამ საფუძველი ჩაუყარა ქართული პარლამენტარიზმის ტრადიციებს, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებისა და განვითარების თვალსაზრისით. ბევრი პარალელის გავლება შეიძლება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით. მაშინ ოპოზიციაში იყო ყველა პარტია სოციალ-დემოკრატების გარდა: — სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია,

რომლებიც ძალზე მწვავედ აკრიტიკებდნენ იმდროინდელ ხელისუფლებას. ეროვნულ-დემოკრატებისთვის მაშინდელი ხელისუფლება იყო სოციალისტური, სოციალ-ფედერალისტებისა და ესერებისთვის — არასაკმარისად სოციალისტური და სოციალიზმის მოღალატე, რომელიც არ ახორციელებდა სოციალურ სფეროში გარდაქმნებს. მმართველი პარტია, რომელსაც გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ვიდრე ოპოზიციას, ცდილობდა ეპოვა გზა საქართველოს სახელმწიფოებრივი გადარჩენისთვის. მაშინ ეს გაუკვალავი გზა იყო და, ბუნებრივია, ბევრ შეცდომებსაც უშვებდნენ, რაც ოპოზიციის მხრიდან კრიტიკის საფუძველი ხდებოდა", — აცხადებს მალხაზ მაცაბერიძე.

მართალია, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას პრაქტიკულად არ უმოქმედია, მაგრამ მას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ისტორიაში. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და 1921 წლის კონსტიტუცია იყო ის იურიდიული საფუძველი, რომელსაც ემყარებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მომდევნო ათწლეულებში.

ახალი გამოცემა

გამოვიდა საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

თბილისში დაიბეჭდა პირველი ინგლისურენოვანი საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალი „სოციალური პოლიტიკა და სოციალური მუშაობა გარდამავალ პერიოდში". ამ ჟურნალის გამოსვლა სოციალურ მეცნიერებებში უნიკალური მოვლენაა, რადგან საქართველოში დღემდე არ არსებობდა არა თუ საერთაშორისო, არამედ ადგილობრივი რეფერირებული ჟურნალიც კი.

მაია ტორაძე

ჟურნალის დამფუძნებელია 6 უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო), შეფილდ ჰალამის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი), კიევის ნაციონალური აკადემია (უკრაინა), ვილნიუსის პედაგოგიური უნივერსიტეტი (ლიტვა) და ლუბლიანის უნივერსიტეტი (სლოვენია). ეს უნივერსიტეტები შეადგენენ კონსორციუმს, რომელიც ევროკომისიის ტემპუსის პროგრამის აპლიკანტია.

ჟურნალი იბეჭდება საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალისთვის ადეკვატური ყველა კრიტერიუმის დაცვით. მისი პროფილი შეძლებისდაგვარად ფართოა. იგი ეხება სოციალურ პოლიტიკას და სოციალურ მუშაობას.

„ამ ჟურნალის გამოსვლით გაჩნდა შესაძლებლობა, რომ საერთაშორისო პროფილის მქონე ჟურნალში ქართველმა მეცნიერებმაც გამოაქვეყნონ პუბლიკაციები.

მოგეხსენებათ, ასეთ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება რთულია. ამას სჭირდება გარკვეული კავშირები და ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა. ამ შემთხვევაში ეს პრობლემა დაძლეულია, რადგან ავტორმა უნდა მომმართოს მე, როგორც ჟურნალის ერთ-ერთ რედაქტორს და მე მივცემ სტატიას შემდგომ მსვლელობას", — განაცხადა პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

ჟურნალის გამოცემის შესაძლებლობა, როგორც აღვნიშნეთ, ევროკომისიის ტემპუსის პროგრამის ფარგლებში გაჩნდა. იგი წელიწადში ორჯერ გამოვა. ჟურნალის მესვეურები იმედოვნებენ, რომ მას შემდეგ, რაც 2012 წლისთვის ეს პროექტი დასრულდება, კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტები თავის თავზე აიღებენ ჟურნალის გამოცემას — 6 უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევა სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ მცირე დანახარჯების ფასად უზრუნველყონ ამ დონის და ასეთი რეპუტაციის ჟურნალის გამოცემა.



„დიდი იმედი გვაქვს, რომ მსოფლიოში არსებული სამეცნიერო ბიბლიოთეკები ამ ჟურნალს გამოიწერენ. ჩვენ გვსურს, რომ ჟურნალის ელექტრონული ვერსიაც შევქმნათ და ინტერნეტის მეშვეობით გავავრცელოთ", — აღნიშნა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

პროფესორ იაგო კაჭკაჭიშვილის გარდა, ჟურნალის სამეცნიერო თანარედაქტორები არიან პროფესორი მარკ დოელი (შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტი) და ასოცირებული პროფესორი ტატიანა სემიგინა (კიევის ნაციონალური აკადემია).

ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის

1917 წლის 12 მარტს (25 მარტს) აღსდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. გვინდა მკითხველს შევახსენოთ იმ რთული და წინააღმდეგობით აღსავსე ისტორიული გზის ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი — ქართველი სამღვდელოებისა და მეცნიერების ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერების დასაბუთებისათვის 1906 წელს.

კირიონ II

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის (XIX საუკუნის დამდეგი) შემდეგ, რუსეთის საიმპერატორო კარი შეუდგა ქართველი ერის ასიმილაციისა და საქართველოს რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცევის გეგმის განხორციელებას. ყოველივე ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, თუ საქართველოში ავტოკეფალური ეკლესია (სათავეში კათოლიკოს-პატრიარქით) შენარჩუნდებოდა. რუსებმა დიდხანს აღარ დააყოვნეს: 1811 წელს გაუქმდა მცხეთის სა-



პატრიარქო, ხოლო 1814 წელს ლიხთიმერეთის და აფხაზთა საპატრიარქო. არსებობა შეწყვიტა უძველესმა სამოციქულო ავტოკეფალურმა (თვითმწყემსმა) ეკლესიამ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოხდა მსოფლიოს IV საეკლესიო კრების დადგენილებისა და საეკლესიო სამართლის ნორმების სრული უგულებელყოფით, ქართველმა სამღვდელოებამ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში იმასაც ვერ მიაღწია, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერების საკითხი ოფიციალურ დონეზე განხილულიყო. 1906 წელს მთლიანად რუსეთის იმპერიაში და კონკრეტულად რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში შექმნილმა მძიმე ვითარებამ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II იძულებული გახადა, საეკლესიო რეფორმების მომზადების მიზნით მოეწვია საგანგებო ორგანო — რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ქართველი სამღვდელოების თხოვნით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასაც განიხილავდა. 1906 წლის 2 და 8 ივნისს საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის კანონიერებას ასაბუთებდნენ ქართველი მღვდელმთავრები: ეპისკოპოსი კირიონი (გიორგი საძაგლიშვილი) და ეპისკოპოსი ლეონიდი (ლონგიოზ ოქროპირიძე). მათ ოპონირებას უწევდნენ რუსი მღვდელმთავრები და მეცნიერები. პოლემიკამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მეორე განყოფილების 1906 წლის 8 ივნისის სხდომაზე მიიღო. რუსი მღვდელმთავრები და მეცნიერები ყველა საშუალებით ცდილობდნენ არ ეღიარებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერება.

პროფესორი მ. ოსტროუმოვი, მიუხედავად ეპისკოპოსების — ლეონიდისა და კირიონის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებისა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საჭიროებას ვერ ხედავდა. დეკანოზ ი. ვოსტორგოვის აზრით კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე საუბარი უკვე დაგვიანებული იყო. ყოვლადსამღვდელო კირიონმა რუს მეცნიერებსა და სამღვდელოებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერების საკითხის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა მოსთხოვა. ეს მოთხოვნა შეწყნარებული არ იქნა. რუსი სამღვდელოება და მეცნიერები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას აშკარად აჭიანურებდნენ. რუსი პროფესორებისთვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი თეორიული ხასიათისა იყო და მისი ქართველების სასარგებლოდ გადაწყვეტა მიუღებლად მიაჩნდათ. ავტოკეფალიის მოთხოვნამ ძალზე შეაშინა და დააბნია რუსი სასულიერო პირები, რომლებიც ცდილობდნენ წვრილმან დეტალებზე კამათით დაეჩრდილათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ყოვლადსამღვდელო კირიონი იყო ერთადერთი, რომელიც სხდომის მსვლელობის დროს მტკიცედ და ურყევად იცავდა საქართველოს ეკლესიის პოზიციებს. იგი მარტო ებრძოდა რუს სამღვდელოებას. სხდომის მსვლელობისას რუსების მხრიდან კიდევ ერთხელ გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა არაკანონიკური და ანტისახელმწიფოებრივი იყო. პასუხი ეპისკოპოსმა კირიონმა გასცა: „ჩვენს მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნა — საეკლესიო საქმეა და არა სახელმწიფოებრივი. არ მესმის, რატომ გვაშინებთ, რომ თითქოს ეს საქმე ანტისახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. თუკი სახელმწიფო ავტოკეფალიას საშიშად მიიჩნევს, მაშინ სახელმწიფო მის წინააღმდეგ გაატარებს ღონისძიებებს. რაც შეეხება ავტოკეფალიის კანონიკურ საფუძველს, მის არსებობაში არანაირი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. კანონმდებლებისთვის ეს კარგად უნდა იყოს ცნობილი, ვიდრე სხვა ვინმესათვის". პროფესორი მ. ოსტროუმოვი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის კანონიკურ საფუძველს ვერ ხედავდა. როგორც მან აღნიშნა, 100 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა საქართველოს ეკლესიაში, რისი უგულებელყოფაც შეუძლებელი იყო.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის საკითხმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. რუს პროფესორებს მიაჩნდათ, რომ ავტოკეფალიის საკითხი მჭიდრო კავშირში იყო პოლიტიკასთან და ამიტომაც ამ საკითხის გადაჭრისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა პოლიტიკურ შეხედულებებსაც. ასეთ მოსაზრებას ეპისკოპოსი კირიონი არ დაეთანხმა და საკითხი ასე დააყენა: თუ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა პოლიტიკური საკითხია, მაშინ პოლიტიკურ საკითხად უნდა მივიჩნიოთ რუსი სამღვდელოებისა და მეცნიერების მიერ რუსეთში პატრიარქობის აღდგენის მოთხოვნა, რომელიც დიდი ხნის წინ გაუქმდა. ცხადია, რუს სამღვდელოებასა და მეცნიერებს არ სურდათ რუსეთში პატრიარქობის აღდგენის მოთხოვნა პოლიტიკურ საკითხად წარმოჩენილიყო, ამიტომ ეპისკოპოს კირიონთან კამათს დუმილი არჩიეს. რუსებს დიდი სურვილი ჰქონდათ რომელიმე ცნობილ რუს მღვდელმთავარს ან მეცნიერს დაეწერა ნაშრომი, რომელშიც დასაბუთებული იქნებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის უკანონობა, მაგრამ ასეთი ნაშრომის დაწერა ვერავინ იკისრა. ეპისკოპოს კირიონის თავგამოდებული ოპონენტი მოგილევის ეპისკოპოსი სტეფანე მხოლოდ ზოგადი განცხადებით შემოიფარგლა: „ამ საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ეკლესიას რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდა თავისი ტერიტორიული საზღვრები და უფლებამოსილი იყო ამ ტერიტორიაზე მცხოვრები იმ ტომების, მოსახლეობის გაკონტროლებისა, რომლებიც მართლმადიდებლობას აღიარებდნენ... ისმის კითხვა: რომელი ავტოკეფალიისთვის ზრუნავენ ქართველები? შესაძლოა, ავტოკეფალიას ითხოვენ მხოლოდ საქართველოს იმ ყოფილ საზღვრებში, რომლითაც 1801 წელს შეუერთდა რუსეთს (იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო), ანდა იმ ავტოკეფალიას, რომელიც სურთ, რომ განავრცონ მთელ კავკასიაში — იმ კავკასიაში, რომელიც რუსული სისხლით იქნა მოპოვებული?"...

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე საქართველოს ეკლესიის საზღვრების დადგენის საკითხმა კამათი გამოიწვია. დეკანოზ ი. ვოსტორგოვისათვის გაურკვეველი იყო, რა საზღვრებში მოითხოვდა საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიის აღდგენას. მისი თქმით, მთელი საქართველო მოსკოვის გუბერნიის ტოლი იყო, ხოლო მოსახლეობა 160 000 კაცს არ აღემატებოდა, რომელთაგან, რუსი დეკანოზის მტკიცებით, ნახევარი სომეხი იყო. ყარსის ოლქი, ფოთი, ბათუმი, ახალციხე, სოხუმი, ერევანი, ბაქო და ელიზავეტპოლი — ყველა ეს ტერიტორია რუსეთმა ომების გზით მოიპოვა, ამიტომ ი. ვოსტორგოვს მართებულად არ მიაჩნდა ამ ტერიტორიების შესვლა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. ამჯერადაც მოპასუხე ეპისკოპოსი კირიონი იყო. ქართველმა მღვდელმთავარმა დამსწრეთ აუხსნა, რომ საქართველოს ეკლესია უნდა აღდგენილიყო იმ საზღვრებში, რომელიც მას რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდა (როცა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი მცხეთის კათოლიკოს-პატრიარქი იყო). ქართველი მღვდელმთავარი თვლიდა, რომ საქართველოს საკათალიკოსოს იურისდიქციაში უნდა შესულიყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ სხვა ეროვნების მართლმადიდებლებიც; რადგან ისინი საქართველოში მოინათლნენ მართლმადიდებლებად და ცხოვრობდნენ საქართველოს მიწაზე.

მეორე განყოფილების სხდომაზე იხილებოდა საქართველოში სასულიერო განათლების მდგომარეობის საკითხი. რუსებს განსაკუთრებით აღელვებდათ ქართველი სამღვდელოების შეფასებები, კერძოდ, რომ სასულიერო განათლება საქართველოში სავალალო მდგომარეობაში იყო, საქართველოში არსებული სასულიერო სემინარიები დასახულ მიზანს ვერ აღწევდნენ, სასულიერო სემინარიაში პედაგოგები მხოლოდ რუსები იყვნენ, სასულიერო სემინარიებში მკაცრი ფორმალიზმი იყო გაბატონებული. რა თქმა უნდა, სხდომაზე მყოფმა რუსმა სასულიერო და საერო პირებმა ეს ფაქტები სიცრუედ შერაცხეს.

ყოვლადსამღვდელო კირიონისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ არ ისწავლებოდა სემინარიაში ქართულად ისეთი საღთისმეტყველო საგნები როგორიცაა: კატეხიზმო, წმინდა წერილი და საქართველოს ისტორია. ქართველმა მღვდელმთავარმა რუსებს ამის შესახებ განმარტება მოსთხოვა. სხდომაზე მყოფი რუსი პროფესორები დიდი მონდომებით ამტკიცებდნენ, რომ ქართული ენის დევნა, ქართველების შევიწროება, ქართული საეკლესიო და საერო ტრადიციების დევნა, სემინარიებში არსებული სავალალო მდგომარეობა — ეს ყოველივე გაზვიადებული და რეალობას მოკლებული იყო.

სხდომა დასასრულს უახლოვდებოდა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ისევ უცნობი რჩებოდა. მეორე განყოფილების სხდომების თავმჯდომარემ ყოვლადსამღვდელო ნიკანდრმა საბოლოოდ ასეთი განაჩენი გამოიტანა: „ვერანაირი საფუძველი ავტოკეფალიისთვის ჯერჯერობით ვერ ვპოვეთ". პროფესორ ბ. მანსუროვისათვის კი საქართველოს ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების კანონიერების დამადასტურებელი რაიმე საფუძველი არ არსებობდა და არც მომავალში იარსებებდა.

ყოვლადსამღვდელო ნიკანდრმა სხდომა დახურულად გამოაცხადა. განყოფილების საქმიანობა კი შემოდგომამდე შეწყდა. საბოლოო სიტყვა ყოვლადსამღვდელო კირიონმა წარმოთქვა. სხდომის მონაწილეები იძულებულები გახდნენ ეღიარებინათ, რომ მოხსენება მართლაც მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად ასეთი აღიარებისა, რუსები მიიჩნევდნენ, რომ ეპისკოპოს კირიონის მოხსენება მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლიდა.

ამრიგად, რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ) ეპისკოპოს კირიონის მეცნიერულად დასაბუთებული გამოსვლებისა და თათბირისთვის საგანგებოდ მომზადებული ღრმად მეცნიერული და არგუმენტირებული მოხსენებების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა კანონიერად არ მიიჩნია. რუსი სამღვდელოება და მეცნიერები, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერებას დაუსაბუთებლად მიიჩნევდნენ. რუსეთის საიმპერატორო კარს და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდეს სინოდს საეკლესიო კრების წინარე თათბირის დაწყებამდე უკვე მიღებული ჰქონდა პოლიტიკური გადაწყვეტილება — საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს.

ავტოკეფალიის აღდგენა

1917 წელს საქართველოს ეკლესიაში ვითარება შეიცვალა. რუსეთის ეკლესიის მმართველობისაგან თავისუფლებისკენ ლტოლვას დიდი თანადგომა გამოუცხადა საქართველოს ეკლესიამ, რადგან ეს უკანასკნელი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის ეკლესია მხარს დაუჭერდა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის დაბრუნებაში. აღნიშნულმა, ქართველი ავტოკეფალისტების ბრძოლას აქტიური ხასიათი შესძინა. სულ მალე ცხადი გახდა, რომ რუსეთის ეკლესია არ აპირებდა თავისი პოზიციების დათმობას საქართველოში. აქედან გამომდინარე, ქართველი სამღვდელოებისათვის ნათელი იყო, რომ რუსეთის მთავრობა არ აპირებდა საქართველოს ეკლესიაზე უწმიდესი სინოდის კომპეტენციის შეწყვეტას და ამიტომ მას დაუმრჩილებლობა გამოუცხადა. 1917 წელს 12 მარტს მცხეთის საკათედრო ტაძარში შეიკრიბა საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები და ქართული საზოგადოება. შეკრებაზე მისულ საზოგადოებრიობას ოფიციალურად გააცნეს შემდეგი გადაწყვეტილება: 1) 12 მარტიდან გრძელდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2) კათოლიკოსის არჩევამდე, საქართველოს ეკლესიის განმგებლად დროებით ინიშნებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი; 3) საქართველოს ეკლესიის მმართველობა დაევალა აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ პირველი საეკლესიო კრება 1917 წლის 8-17 სექტემბერს შედგა. კრებაზე იმსჯელეს კათოლიკოს-პატრიარქის შესაძლო კანდიდატის არჩევაზე. 17 სექტემბრის სხდომაზე კანდიდატებად დასახელდნენ ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) და თბილისის მტროპოლიტი ლეონიდი (ოქროპირიძე). ხმის უპირატესობით საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრად ეპისკოპოსი კირიონი აირჩიეს.

გვანცა გურდული,
დოქტორანტი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქისგან მიღებული ჯილდო

უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე წმიდა გიორგის სახელობის ორდენით დააჯილდოვა და საქართველოს დედის წოდება მიანიჭა. ორდენის გადაცემის ცერემონია საპატრიარქოში 25 თებერვალს გაიმართა და მას მარიამ ლორთქიფანიძის ოჯახი, სასულიერო პირები, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ. თუ რა დამსახურებებისთვის გადაეცა ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს ჯილდო, წმიდა გიორგის სახელობის ორდენის მეორე მხარეს ანერია: „ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის“.

ნატო ოგოლაძე

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს გადაცემა მარიამ ლორთქიფანიძისთვის საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. საპატრიარქოში მისულ უხუცეს ისტორიკოსს თბილი შეხვედრა მოუწყვეს, მისი დამსახურების შესახებ ისაუბრეს სასულიერო სემინარიის რექტორმა გიორგი ზვიადაძემ, სასულიერო აკადემიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ სერგო ვარდოსანიძემ და თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ. ქალბატონი მარიამის შვილთაშვილმა ზურაბ ცირეკიძემ დიდი ბებიის პატივსაცემად მოცარტის ნაწარმოები შეასრულა. მან იტალიაში ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის სახელობის კონკურსზე, კომპოზიტორის ნაწარმოების შესრულებისათვის, პირველი ადგილი აიღო.

„წარმოუდგენელია უფრო მაღალი ჯილდო ადამიანის ცხოვრებაში, ვიდრე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მიერ მონიჭებული წმიდა გიორგის ორდენი და საქართველოს დედის ტიტული. ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აღვიქვი, თუ რა დიდი ამბავი მოხდა ჩემს ცხოვრებაში. არასოდეს მიფიქრია, თუ რამე განსაკუთრებულს ვაკეთებდი. მიმაჩნია, რომ ვაკეთებ იმას, რაც მევალება. ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, როდესაც სრულიად უცხო ადამიანები მილოცავენ, ქუჩაში მაჩერებენ, ტელეფონზე მირეკავენ და მეუბნებიან, რომ მე ეს ჯილდო დავიმსახურე“, — გვითხრა მარიამ ლორთქიფანიძემ.

ქალბატონი მარიამის დიდი დამსახურება გახლავთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოთა კავშირის პერიოდში სწავლება ქართულ ენაზე შენარჩუნდა. სასკოლო პროგრამაში საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად შეტანის პროცესში, ასევე, დიდი როლი ითამაშა მარიამ ლორთქიფანიძემ.

ქალბატონმა მარიამმა წმინდა გიორგის სახელობის ორდენთან ერთად „საქართველოს დედის“ წოდებაც მიიღო. მას მიაჩნია, რომ შვილის აღზრდისას ყველაზე მნიშვნელოვანია, მშობელმა შვილი წიგნის კითხვას მიაჩვიოს, რაც თანამედროვე ახალგაზრდების ყველაზე დიდი პრობლემა გახლავთ.

ქალბატონი მარიამი ამჯერად საქართველოს ისტორიის ოთხტომეულზე მუშაობს. იგი წიგნის მთავარი რედაქტორია და მეორე ტომის ცალკეულ სტატიათა ავტორი. საქართველოს ისტორიის ახალ გამოცემაზე ქალბატონი მარიამი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წევრებთან და თსუ-ის ყოფილ და ამჟამინდელ ისტორიკოსებთან ერთად მუშაობს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მფლობელი

23 თებერვალს თსუ-ის პროფესორს რევაზ კაკულიას 50-წლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის აღსანიშნად, თსუ-ის რექტორის გიორგი ხუბუას ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადაეცა.

თამარ მარუაშვილი

პროფესორმა რევაზ კაკულიამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. იგი ეკონომიკური მეცნიერების ისეთ სფეროებში მუშაობდა, როგორიცაა: ეკონომიკური თეორია, საბაზრო ეკონომიკა, გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის განვითარება, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, პროგნოზირება და ინდიკატური დაგეგმვა, ფინანსები და ფულადსაბანკო ურთიერთობები და სხვ.

პროფესორ რევაზ კაკულიას კვლევები და მეცნიერული დასკვნები გამოქვეყნებულია 198 ნაშრომში, რომელთაგან 8 მონოგრაფია და 12 სახელმძღვანელოა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ რევაზ კაკულიას პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, სადაც წლების მანძილზე კითხულობდა ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ფინანსების თეორიის, საბანკო საქმის, ფინანსური ეკონომიკის, საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობების, კორპორაციის ფინანსების, საჯარო ფინანსების სასწავლო დისციპლინებს. აღსანიშნავია, რომ მან ყველა თეორიულ საკითხში გამოსცა სახელმძღვანელოები, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 25-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

„ბატონ რეზოს დიდი წვლილი მიუძღვის არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის მიმართაც. ეს არის ადამიანი, რომელიც თავის თავში აერთიანებს მეცნიერს, მკვლევარს, პედაგოგს, სახელმწიფო პოლიტიკურ მოღვაწეს. მას დიდი წვლილი მიუძღვის თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარებასა და სტუდენტთა დაოსტატების საქმეში“, — აღნიშნა პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა.

პროფესორმა ბიკენტი გაბიძაშვილმა გაიხსენა 70-იანი წლები, როცა ამ მედლის გადაცემას ჩაეყარა საფუძველი: „მაშინ ფაკულტეტზე, დაახლოებით, 140 პედაგოგი მოღვაწეობდა. მათ შორის იყვნენ ისეთი ფავორიტები, რომლებმაც უნივერსიტეტის განვითარებას ჩაუყარეს საფუძველი. ყველა ისინი არნახული ობიექტური პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ. მედალი უნივერსიტეტში გამოჩენილ და გამორჩეულ პროფესორს გადაეცემოდა. მოხდა ისე, რომ აკადემიურ საბჭოს პროფესორ ნიკო კეცხოველისთვის ამ მედლის გადაცემა დაუგვიანდა. და როდესაც ბატონ ნიკოს მედალი გადასცეს, მან ჩვეული პირდაპირობით მიმართა აკადემიურ საბჭოს: „მე, მრავალი ჯილდოს მფლობელი ვარ, მაგრამ ეს მედალი ყველაზე ძვირფასია ჩემთვის, ეს მედალი ჩემთვის დიდი ხნის წინათ უნდა გადმოგეცათ“, ახლა მისი სიტყვების გამეორება მინდა ბატონებო, ეს მედალი ბატონი რეზოსთვის დიდი ხნის წინ უნდა გადაგვეცა“.



თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რომან ხარბედიამ ამ პროფესორის მედლით დაჯილდოება რესპულიკურ-სახელმწიფოებრივ აღიარებად შეაფასა.

„ეს ჯილდო ჩემთვის უმაღლესი ჯილდოა. 6 ორდენის მფლობელი ვარ, მაგრამ ეს მედალი ყველაზე საპატიო ადგილს დაიკავებს“. — აღნიშნა რევაზ კაკულიამ.

წიგნადი ფონდი

„ქართუ ჯგუფმა“ თსუ-ის საჩუქრად 100 000 ლარის ღირებულების წიგნები გადმოსცა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს „ქართუ ჯგუფმა“ 100 000 ლარის ღირებულების წიგნები გადასცა. 580 სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სპეციალური სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში უკვე განთავსდა. სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისთვის საჭირო წიგნების ჩამონათვალი თსუ-ის ადმინისტრაციამ „ქართუ ჯუფს“ წინასწარ გადასცა, რომელთა შერჩევის პროცესში თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები იღებდნენ მონაწილეობას.

„ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ ბიბლიოთეკისთვის წიგნები გვჭირდებოდა და დახმარებას შეგვპირდა. პირობის თანახმად, საჭირო წიგნების ჩამონათვალი ჩვენ გავუგზავნეთ. მოთხოვნილი ლიტერატურა „ქართუ ჯგუფმა“ საზღვარგარეთ შეისყიდა და საჩუქრად გადმოგვცა“, — განაცხადა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რომან ხარბედიამ.

ახალი წიგნები, ძირითადად, ინგლისურ და გერმანულენოვანია. ისინი პროფილის მიხედვით საფაკულტეტო ბიბლიოთეკებში უკვე გადანაწილდა და უკვე თსუ-ის ყველა სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია.

რადგან წიგნების უმეტესი ნაწილი მხოლოდ ერთი ეგზემპლარია, დაინტერესებულ პირებს მათი გაცნობა მხოლოდ სამკითხველო დარბაზში შეეძლებათ.



საჩუქარი აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ბიბლიოთეკას ეგვიპტიდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების პატარა ბიბლიოთეკას დიდი საჩუქარი უძღვნა საქართველოს საელჩომ ეგვიპტის არაბულ რესპუბლიკაში.



უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტეში ბატონი გოჩა ჯაფარიძე, ამასთანავე ცნობილი ისტორიკოსი, ახლო აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევარი, საქართველოსა და არაბული სამყაროს ისტორიულ ურთიერთობებზე წლების მანძილზე მომუშავე პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და დიპლომატიურ სარბიელზე გადასვლამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე და აღიარებული მეცნიერი გახლავთ. მან აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ბიბლიოთეკას გადასცა კაიროს აღმოსავლეთის არქეოლოგიის ფრანგული ინსტიტუტის (Institut Français d'Arhéologie Orientale) სამეცნიერო კვლევების დირექტორის ქალბატონ სილვია დენუას მიერ მისთვის პირადი კოლეგიალური კონტაქტების საფუძველზე გადაცემული საჩუქარი – აღნიშნული ინსტიტუტის მნიშვნელოვანი პუბლიკაციები: მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ისლამოლოგიური სამეცნიერო-პერიოდული გამოცემის 1978-2003 წლების ნომრები, ასევე, ბევრი სხვა ფასეული სამეცნიერო გამოკვლევა (სულ 59 ერთეული).

ეს ლიტერატურა მნიშვნელოვნად გაამდიდრებს აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ბიბლიოთეკის ფონდს და ხელს შეუწყობს არაბისტიკისა და ისლამოლოგიის პრობლემატიკის შესწავლას, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ინფორმირებას უახლეს სამეცნიერო კვლევებსა და მიმართულებებზე. როგორც ბატონი ელჩი პროფესორი გოჩა ჯაფარიძე გვპირდება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საჩუქრად გადმოცემული წიგნები ერთჯერადი აქცია არ არის, ზრუნვა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების პატარა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრებაზე კვლავაც გაგრძელდება.

დარეჯან გარდავაძე

რატომ შეირჩა გამოსაცემად რიჩარდ გერიგისა და ფილიპ ზიმბარდოს „ფსიქოლოგია და ცხოვრება“?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრმა 2009 წელს გამოსცა რიჩარდ გერიგისა და ფილიპ ზიმბარდოს საყოველთაოდ ცნობილი სახელმძღვანელო „ფსიქოლოგია და ცხოვრება“.

ეს გახლავთ ამ წიგნის მე-16 გამოცემა, რომლის თარგმნაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფმა 2003 წელს დაიწყო ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. წიგნის თარგმანსა და გამოსაცემად მომზადებას ხუთი წელი დასჭირდა (იგი ჩინეთში დაიბეჭდა). საბოლოოდ წიგნის გადმოქართულებული ვარიანტი საზოგადოებამ 2009 წლის ბოლოს მიიღო.

მაია ტორაძე



რატომ შეირჩა გამოსაცემად რიჩარდ გერიგისა და ფილიპ ზიმბარდოს „ფსიქოლოგია და ცხოვრება“?

როგორც წიგნის ერთ-ერთი მთავარი სამეცნიერო რედაქტორი, პროფესორი მარინე ჩიტაშვილი აღნიშნავს, ფსიქოლოგიის საფუძვლების შესასწავლად მსოფლიოში სამი შეთანხმებული სახელმძღვანელო არსებობს. ესენია: რიტა და რიჩარდ ატკინსონების, ედუარდ სმიტის, დარილ ბერნისა და სუზან ნოლენ ჰოეკსემას ერთობლივი სახელმძღვანელო (ფსიქოლოგიურ წრეში ცნობილი, როგორც ატკინსონის სახელმძღვანელო), მეორე – ჰანს აიზეიკის სახელმძღვანელო და მესამე რიჩარდ გერიგისა და ფილიპ ზიმბარდოს სახელმძღვანელო.

ატკინსონის სახელმძღვანელოს ძირითადად სკანდინავიის ქვეყნებში იყენებენ, რადგან მათ მსოფლიოში ფსიქოლოგიის სწავლების ყველაზე მაღალი სტანდარტები აქვთ. ეს სახელმძღვანელო რთულია, მაგრამ ამ ქვეყნების სასკოლო სისტემით მიღებული განათლების დონე და, რაც მთავარია, ხარისხი, საკმარისი საფუძველია, რომ შემდგომ სტუდენტებმა მისი სწავლა შეძლონ.

აიზეიკის სახელმძღვანელო არაფრით ჩამოუვარდება არც ატკინსონის და არც გერიგი-ზიმბარდოს სახელმძღვანელოს, მაგრამ არ არის პოპულარული ერთი მარტივი მიზეზის გამო: აიზეიკმა 60-იან წლებში არასწორი დასკვნა გააკეთა – მან საკუთარი ექსპერიმენტის მონაცემები განაზოგადა და ამის საფუძველზე განაცხადა, რომ თეთრკანიანებს უფრო მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი აქვთ, ვიდრე შავკანიანებს. ამას ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციიდან, ბუნებრივია, საშინელი რეაქცია მოჰყვა. აიზეიკის კვლევები ხელახლა გადაამოწმეს და მისი შედეგები უარყვეს. ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ აიზეიკი დიდი მეცნიერი და მაღალი დონის სახელმძღვანელოს ავტორია, პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე, სასწავლო პროგრამაში მის წიგნს ნაკლებად იყენებენ.

ამ მიზეზების გამო ქართველმა მეცნიერებმა აირჩიეს რიჩარდ გერიგისა და ფილიპ ზიმბარდოს „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, რომელიც 1990 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავარი სასწავლო სახელმძღვანელოა.

ამ წიგნის ორი ვარიანტი არსებობს – ევროპული და ამერიკული. ქართველმა მეცნიერებმა ამერიკული ვარიანტი თარგმნეს იმის გამო, რომ ატკინსონის სახელმძღვანელოს მსგავსად, „ფსიქოლოგია და ცხოვრების“ ევროპული ვარიანტი წიგნის გაცნობამდე უფრო მეტ ცოდნას მოითხოვს. რადგანაც საქართველოს სასკოლო სისტემა ამერიკული სისტემის მსგავსად ყალიბდება, უპრიანად მიიჩნიეს, წიგნის ამერიკული ვარიანტის თარგმნა და გამოცემა.

წიგნის გამოცემაზე 9 მეცნიერისგან შემდგარმა სარედაქციო საბჭომ იმუშავა, ხოლო მისი მთავარი სამეცნიერო რედაქტორები გახლავთ პროფესორები მარინე ჩიტაშვილი და მარიამ მირიანაშვილი.

მარინა ჩიტაშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი: „წიგნის გამოცემა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული, რადგან სამეცნიერო ენა სერიოზულად მოითხოვდა გადახედვას — არ არსებობდა ძალიან ბევრი ტერმინის ქართული შესატყვისი. ამის გამო სარედაქციო კოლეგიამ კოლოსალური სამუშაო ჩაატარა. ცალკე იმუშავა ტერმინოლოგიის ჯგუფმა. ჩვენმა სტუდენტებმა ამ წიგნით სწავლა პირველი სამუშაო ვერსიებით 2005 წლიდან დაიწყეს. წიგნის საბოლოო ნაბეჭდი სახით მიღებას კი კიდევ 4 წელი დასჭირდა“.

„ფსიქოლოგია და ცხოვრების“ გამოცემით ფაქტობრივად იფარება 2002 წლამდე არსებული უახლესი ცოდნა ფსიქოლოგიაში. ამავე დროს სახელმძღვანელო იძლევა რეალურ ბაზისს სასწავლო პროგრამის გადაწყობისათვის.

სახელმძღვანელოს მაღალ მეცნიერულ შეფასებას აძლევს ერთ-ერთი რეცენზენტი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ემერიტუსი **ნათელა იმედაძე**: „ეს გახლავთ ამ სახელმძღვანელოს მეთექვსმეტე გამოცემა, რომელშიც თავმოყრილია ბოლო წლებში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები, რაც ერთ სახელმძღვანელოში იშვიათად გვხვდება.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა თავიდან ბოლომდე სტუდენტის ინტერესებს ითვალისწინებს. მოცემულია მასალები – როგორ გამოიყენონ წიგნი და შეაჯამონ მიღებული ცოდნა. ცალკეა გამოყოფილი საკვანძო საკითხები. წიგნს დართული აქვს გლოსარიუმი, სადაც ტერმინების ჯამია მოცემული. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ არის ზოგიერთი ტერმინი, რომლის დაზუსტებაა საჭირო და ამაზე უნდა იზრუნონ არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არამედ მეცნიერებათა აკადემიის, უზნაძის ინსტიტუტისა და ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებმაც. დიდი იმედი მაქვს, რომ ფსიქოლოგებს ეს წიგნი დიდი დახმარებას გაუწევს“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ნათელა იმედაძემ.

ახალი სასწავლო წიგნი ეკონომიკაში

სამწუხაროდ, ქართულ ენაზე არ ვართ განებივრებული კარგი სახელმძღვანელოებით. ამდენად ნებისმიერი „გამონათება“ ამ სფეროში მისასალმებელია, მით უმეტეს, თუ საქმე ეკონომიკური პოლიტიკის თეორიას შეეხება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სახელმძღვანელო „ეკონომიკურ პოლიტიკაში“ (ორ ნაწილად), რომლის ავტორებიც ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის სრული პროფესორი რევაზ გველესიანი და ეკონომიკის დოქტორი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი არიან. სახელმძღვანელო აგებულია ევროპული გამოცდილების მიხედვით და მასში გადმოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა ეკონომიკური პოლიტიკის თეორია, ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა, კონკურენციის პოლიტიკა, საფინანსო პოლიტიკა, ფულადი პოლიტიკა, შემოსავლების განაწილება და სოციალური პოლიტიკა, შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკა, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა, აგრარული პოლიტიკა და განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა. თითოეულ თავში განხილულია შესაბამისი პოლიტიკის მიზნები, სტრატეგიები, ინსტრუმენტები, პრობლემები და მოქმედების არეალი. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ რეალობას, მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება დაეყრდნოს იმ გამოცდილებას, რომელიც უკვე დაგროვდა ევროპულ სახელმწიფოებში. სახელმძღვანელო სწორედ ევროპული, უპირატესად კი გერმანული გამოცდილების გათვალისწინებითაა შედგენილი. მაგალითები, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოყვანილი, სტუდენტებს სწორედ გერმანიის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების თავისებურებების ჭრილში განიხილავს.

წიგნში განხილულია ბიუჯეტი, მისი ინდიკატორები, შემოსავლებისა და ხარჯების თავისებურებები, საგადასახადო სისტემის თავისებურებანი, სახელმწიფო ვალი. ასევე, როგორ თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხები. აქვე სერიოზული ადგილი უკავია ევროპის ფულის ბაზრების ანალიზს, განხილულია კაპიტალისა და სავალუტო ბაზრები, საერთაშორისო საპროცენტო პარიტეტი. საინტერესოა პროცენტის სტრუქტურაზე გამახვილებული ყურადღება. ეს თემა განსაკუთრებულად აქტუალურია მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, მაშინ, როდესაც პროცენტი ბევრ სიტუაციაში მდგომარეობის შესწავლის ერთ-ერთ სერიოზულ ინდიკატორად იქცა.

ინფლაციის თეორიები, რომელიც სახელმძღვანელოშია მოყვანილი, ასევე, საინტერესო განსჯის საფუძველს აძლევს სტუდენტებს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ე.წ. „ინფლაციური ტარგეტირების“ განხორციელება და ამ ფაქტსაც შესაბამისი ადგილი უკავია სახელმძღვანელოში.

სახელმძღვანელოს გამოცემით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. სტუდენტთათვის გაადვილებულია ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მნიშვნელოვან ასპექტებზე არსებული მოსაზრებები, სისტემატიზებულია ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული მიმართულების შესახებ არსებული თეორიები, რაც დაინტერესებულ მკითხველს გაუღვივებს დამატებითი მასალების, მათ შორის საქართველოს შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვების სურვილს.

ნოდარ ხადური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

„კავკასიოლოგიური ძიებანი“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიოლოგიური ძიებანი“ პირველი ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. საერთაშორისო კავკასიოლოგიურ სამეცნიერო ჟურნალში ძირითადად გამოყენებულია მასალები კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესისა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით 2007 წელს მოეწყო.

„სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“ კავკასიური იდეის კონცეპტუალურ საფუძვლებს ემყარება. საერთო გეოგრაფიულ სივრცეში თანაცხოვრების ტრადიციული და თანამედროვე კულტურა, კავკასიელი ხალხების ლინგვისტური, ეთნოგენეტიკური, კულტურული ნათესაობა და საერთო ისტორიული წარსული კავკასიის რეგიონალიზაციის პრინციპებს აყალიბებს. მოპოვებული მიღწევებისა და თანამედროვე კვლევების კვალდაკვალ ჟურნალი აერთიანებს კავკასიოლოგიის პრობლემათა შემსწავლელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებს და, შესაბამისად, განსაზღვრავს კავკასიელი ხალხების სოციოკულტურულ როლს“. – აღნიშნულია ჟურნალის ანოტაციაში.

სამეცნიერო ჟურნალში დაბეჭდილი სტატიები იმ სამეცნიერო დარგებს მოიცავს, რომლებიც კავკასიას შეისწავლიან; ავტორები სხვადასხვა ქვეყნიდან კავკასიაში არსებულ პრობლემებს იკვლევენ.

„მეცნიერების ვალია წარმოაჩინოს ის, რაც არის და უპასუხოს კითხვებს რატომ არის ასე. ჩვენს ჟურნალში ასახულია XXI საუკუნის კავკასიოლოგია, გამოქვეყნებულ სტატიებში პასუხები გაიცა საინტერესო კითხვებზე“, - აღნიშნა ჟურნალის რედაქტორმა ცირა ბარამიძემ.

სამეცნიერო ჟურნალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით გამოიცა. სამენოვანი სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“ წელიწადში ერთხელ გამოვა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ანა და უნივერსიტეტი

„ქართული პოეზიის დედოფლის“ ანა კალანდაძის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებულ პერიოდს — სწორედ სტუდენტობის წლებში შეიქმნა პოეტურ შედევრებად აღიარებული ნიმუშების უმეტესობა, რომელმაც მას მკითხველის დიდი სიყვარული მოუტანა.

შურთხია ბერეშვილი

ახალგაზრდობას გამორჩეულად უყვარს ანა კალანდაძის პოეზია. მნიშვნელოვანია და ამასთან, სასიამოვნო, რომ პოეტის შემოქმედება უკვე გახდა მათი კვლევის საგანი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივით ანა კალანდაძის გარდაცვალების 2 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე — „ანა და უნივერსიტეტი“ სტუდენტებმა მწერლის შემოქმედება სიღრმისეულად, სხვადასხვა ასპექტში განიხილეს და თავიანთი ნააზრევი თანატოლებს გააცნეს. როგორც კონფერენციის სახელწოდებიდან ჩანს, სტუდენტებმა ძირითადი აქცენტი ანა კალანდაძის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდზე და პოეტის მოგონებებზე გააკეთეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის მიმართულების II კურსის მაგისტრანტმა ანა ბაქანიძემ ხანგრძლივი დრო მოანდომა ანა კალანდაძის სტუდენტური პერიოდის შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ ცნობები მისი სტუდენტობის შესახებ მეტად მწირია, მან თავი მოუყარა სათანადო მასალას, რომელიც პოეტისავე მოგონებებსა და საარქივო დოკუმენტებში იყო გაბნეული.

როგორც ანა ბაქანიძემ სტუდენტებს მოუთხრო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ანა კალანდაძე 1941-1946 წლებში სწავლობდა. პოეტმა უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე ჩააბარა, მაგრამ ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსიდან კავკასიურ ენათა განყოფილებაზე გადავიდა.

ანა კალანდაძეს რთულ პერიოდში მოუწია სტუდენტობამ, ომის სიმძიმე უნივერსიტეტის კედლებშიც აღწევდა, არ გამოდიოდა ახალი სახელმძღვანელოები, არ ფუნქციონირებდა ლიტერატურული წრეები... სტუდენტებიც და ლექტორებიც ერთად იტანდნენ გაჭირვებას.

მაშ, რა აძლევდა სწავლის ძალას იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ასე რთულ დროს შეიფარა უნივერსიტეტმა. ამ კითხვაზე პასუხს თავად პოეტი გვაძლევს: „სტუდენტები იმით ვიყავით ბედნიერი, რომ საყოველთაოდ ცნობილ და აღიარებულ მეცნიერთა ლექციებს ვისმენდით (მარტო კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავას დასახელებაც იკმარებდა!)“.

ლექტორთა ამ თანავარსკვლავედში შედიოდა პროფესორი ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც ანა კალანდაძეს საქართველოს ისტორიის კურსს უკითხავდა. მის შესახებ პოეტის შთაბეჭდილებებს სტუდენტი ანა ბაქანიძე ასე გვაცნობს: „იდგა კათედრაზე ჭარმაგი, საკმაოდ მკაცრი შესახედაობის კაცი და ფურცლავდა ჩვენი ისტორიის ფურცლებს: სადღაც, შორეთში მზერამიპყრობილს, დროდადრო ავიწყდებოდა კიდეც აუდიტორია (რასაც სტუდენტები, 18-19 წლის ყმაწვილები ჩინებულად ვგრძნობდით) და საქართველოს ბედკრული ისტორიის ქარტეხილებიდან „გვიბრუნდებოდა“ წინაპართა ჩვენთა (ზოგჯერ) ღალატით გულშეძრული თუ „საქმეთა საგმიროთა“ ხილვით გაოგნებული...“ პოეტი მოგვიანებით იგებს, რომ ნიკო ბერძენიშვილი სახლში საკუთარი ხელით გადაწერილ ანა კალანდაძის ლექსებს ინახავდა.

ანა კალანდაძე პროფესორ არნოლდ ჩიქობავას და შალვა ნუცუბიძეს იხსენებს, რომელსაც პოეტის თქმით, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ სტუდენტებისადმი.

სტუდენტობის პირველ წლებში ანას არავისთვის გაუმხელია საკუთარი შემოქმედების საიდუმლო, არავისთვის გაუნდია თავისი ნაწერები. მხოლოდ დამამთავრებელ კურსზე, პატარა რვეულში თავმოყრილი ლექსები, ნათესავის ხელით გაუგზავნა კრიტიკოს დიმიტრი ბენაშვილს. რვეული მალევე მოხვდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქტორთან გიორგი ნატროშვილთან. 1946 წლის 25 მაისს მწერალთა კავშირში 22 წლის ანა კალანდაძის ლექსების კითხვა მოეწყო. ამ დღემ მას საყოველთაო აღიარება მოუტანა, გადაწყდა კრებულის გამოცემაც, მაგრამ სულ მალე პარტიის მსახურმა კრიტიკოსებმა ახალგაზრდა პოეტი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, მისი ლექსები „უსაგნო ლირიკად და უიდეო ნაწარმოებებად“ შერაცხეს. მათგან ანას მკითხველთა სიყვარული და ჭეშმარიტ მწერალთა თანადგომა იცავდა. ასეთ დროს თავისი სიტყვა უნდა ეთქვა უნივერსიტეტსაც. 1946 წელს უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი გახლდათ, მის თვალსა და გულს არ გამოეპარებოდა არც ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა, მით უფრო, თუ იგი შემოქმედებითი ნიჭით იყო მირონცხებული. ნიკო კეცხოველმა ახალგაზრდა პოეტი დაიცვა, რაც იმ პერიოდში სულაც არ იყო ადვილი საქმე.

ანა კალანდაძე თვლიდა, რომ მისი, როგორც პოეტის ჩამოყალიბებაში უდავოდ დიდი როლი ითამაშა საუნივერსიტეტო გარემომ, პოეტი ამას თავად აღნიშნავს: „უნივერსიტეტში სრულად ვეზიარე მადლს ძველი ქართული ენისა და ლიტერატურისა, გამიცხოველდა ინტერესი მშობლიური ქვეყნის ისტორიისადმი... უმდიდრესმა საენათმეცნიერო ლიტერატურამ, რომლის დამუშავება-გაცნობასაც მიჰქონდა ჩემი სტუდენტური დროის უდიდესი ნაწილი, მსოფლიოს უძველესი ხალხების ცხოვრებაში „ჩამახედა“, ჩემი ფიქრები თავს ევლებოდა ურარტუს ქვაბებს, ხეთების სამკვიდროს, მითანის სამეფოს და... ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ პელაზგებს, რომლებიც უკვე „მკვიდრდებოდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე“... ასეთმა გარემომ „დიდი სამსახური გაუწია ჩემს მოწოდებას, გაამდიდრა ჩემი შემოქმედება. ვფიქრობ, უიმისოდ ძალიან ბევრს დავკარგავდი!“ — ასეთი იყო ანა კალანდაძის გულწრფელი თხრობა იმის თაობაზე, თუ როგორ შემოვიდა მის ცხოვრებაში პოეზიისადმი ინტერესი.

სამეცნიერო კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა: ნათია დუნდუამ (ნორმა და გადახვევა ანა კალანდაძის პოეტურ ენაში), ლილი მეტრეველმა (სვით სიხარული ამ თასებიდან), თამარ ადამიამ (დედოფალი ვარსკვლავებისა ნისლმა ღამისამ გალაქტიკის მტვერში არია), მარიამ ბეჟიტაშვილმა (ანა კალანდაძის პოეზიის ისტორიზმი), თინათინ თვალჭრელიძემ (ანა კალანდაძის ლირიკის ოცწლეული), ნონა ხარაშვილმა (პოლონური წყაროები ანა კალანდაძის პოეზიაში), ელგა ქურასბედიანმა (ბუნება, როგორც შემოქმედებითი წყარო ანა კალანდაძის ლირიკაში), ნათია ფურცელაძემ (ბელა ახმადულინას ლექსების ანა კალანდაძისეული თარგმანები), ნათია ფონიავამ (საქართველოს მთიანეთი ანა კალანდაძის შემოქმედებაში), მარია კოპალიანმა (ეპითეტი ანა კალანდაძის შემოქმედებაში და მისი თარგმანი) და ლელა ქავთარაძემ (ანა კალანდაძის პოეზიის თარგმანები).

სტუდენტებს ნაშრომების მომზადებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი ტრისტან მახაური დაეხმარა. სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორის ანა ბაქანიძის ინფორმაციით, კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალები თავმოყრილია კრებულში, რომელიც თსუ-ის თვითმმართველობის დაფინანსებით და ხელშეწყობით გამოიცა.

მოკლედ

ახალი ეტიმოლოგიური ლექსიკონი – წინაბერძნული ლექსიკის ელემენტების კვლევა

10 მარტს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში საჯარო სემინარი გაიმართა, სადაც მოხსენება — „ბერძნული ენის უახლესი ეტიმოლოგიური ლექსიკონი და წინაბერძნული ენობრივი სამყაროს პრობლემა“ ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა წაიკითხა.

შურთხია ბერეშვილი

როგორც სემინარის დაწყების წინ რისმაგ გორდეზიანმა აღნიშნა, 2009-2010 საგაზაფხულო სემესტრში რუბრიკით: „მოხსენებები, სემინარები, პრეზენტაციები“ მოხსენებებს წაიკითხავენ ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერები, მათ შორის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი მიხაელ ფონ ალბრეხტი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრის ნოლასი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი ანგრეტ პლონტკე ლიუნინგი, თსუ-ის პროფესორები ვახტანგ ლიჩელი, მიხეილ ქუდიანი და ლევან გორდეზიანი. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ახალი წიგნების პრეზენტაციებიც.

საჯარო მოხსენებების ამ ფორმატში წაკითხვა უკვე ევროპის მრავალ უნივერსიტეტშია აპრობირებული და სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლების დიდ დაინტერესებას იწვევს. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მონაწილეობა ყველა საფეხურის სტუდენტს ჩაეთვლება სასემინარო აქტივობად ისევე, როგორც პროფესორ-მასწავლებლებსა და დამხმარე პერსონალს მეცნიერების კუთხით.

რისმაგ გორდეზიანმა საჯარო მოხსენებაში ისაუბრა 2010 წელს გამოცემულ ახალ ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე, სადაც დიდი ყურადღება ექცევა წინაბერძნული ლექსიკის ელემენტების კვლევას. „საინტერესოა, რომ ლექსიკონის ავტორი რობერტ ბეეკესი ასკვნის, რომ წინაბერძნული ელემენტები არაინდოევროპულია. არსებობს თვალსაზრისი, რომ ეს არაინდოევროპული ელემენტები მიმართებას გვიჩვენებს ქართველურ ენებთან, სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ახალი ეტიმოლოგიური ლექსიკონი გვაძლევს ახალ სტიმულს იმისათვის, რათა უკეთ გამოვიკვლოთ წინაბერძნული ენობრივი მასალა და გავაკეთოთ სათანადო დასკვნები“, — აღნიშნა რისმაგ გორდეზიანმა.

საგაზაფხულო სემესტრის სემინარების კურსი საზეიმოდ დაიხურება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დღის აღნიშვნით, სადაც ინსტიტუტში შექმნილი პროდუქციის პრეზენტაციაც გაიმართება. სავარაუდოდ, იმ დროისთვის გამოიცემა ენციკლოპედიის — „ანტიკური კავკასიის“ პირველი ტომიც.

რისმაგ გორდეზიანის ინფორმაციით, ახალი სასწავლო წლიდან საჯარო სემინარების პროგრამა გრძელვადიანი იქნება და მსურველებს შეეძლებათ მათთვის სასურველი მოხსენება აირჩიონ.

გზავნილი

მადლობის წერილი კვიპროსიდან

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტმა პროფესორ სოფიო შამანიდის რედაქტორობით გამოსცა „ბერძნულ-ქართული ლექსიკონი“, რომელმაც მოწონება დაიმსახურა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ამ გამოცემას გამოეხმაურა კვიპროსის განათლებისა და კულტურის მინისტრი, ბატონი ანდრეას დიმიტრიუ. რამდენიმე დღის წინ თსუ-ში ლექსიკონის რედაქტორის სახელზე მოვიდა მისი მადლობის წერილი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს:

პროფესორ სოფიო შამანიდს

ამაღელვებელი და სასიხარულო იყო პირველი ბერძნულ-ქართული ლექსიკონის ხილვა. დიდ მადლიერებას გამოვთქვამთ როგორც წიგნისათვის, ისე კვიპროსის განათლებისა და კულტურის სამინისტროს იმ ძირითად დამფინანსებელთა სიაში მოხსენიებისათვის, რომელთა ხელშეწყობითაც გამოიცა ლექსიკონი.

მოგახსენებთ, რომ კვიპროსის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კომპეტენციას ბერძნული განათლებისა თუ კულტურის განვითარება და გავრცელება წარმოადგენს. სწორედ ამ მიზეზით, კიდევ უფრო ამაღელვებელია თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ახალი ბერძნული ფილოლოგიის განყოფილების დაუცხრომელი შრომა როგორც ბერძნული ენისა და ფილოლოგიის, ისე, ზოგადად, ბერძნული კულტურის გავრცელების საქმეში. ვთვლით, რომ ყველა ის პროექტი, რომლისთვისაც კი ოდესმე გამოყოფილა გრანტი, ჯეროვნად განხორციელდა თქვენ მიერ.

ასევე მოგახსენებთ, რომ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა აღნიშნული ლექსიკონი უსახსოვროს კვიპროსის



უნივერსიტეტის ბერძნული ენის სკოლას, სადაც, მათ შორის, საქართველოდან ჩამოსული ბერძნული წარმომავლობის სტუდენტებიც შეძლებენ მის გამოყენებას.

გისურვებთ წარმატებებს ბერძნული კულტურის გავრცელების და ყველა მომავალ საქმიანობაში. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ურთიერთობა და თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

კვიპროსის განათლებისა
კულტურის მინისტრი
ანდრეას დიმიტრიუ

„ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრმა 2010 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგინა. ცენტრის ხელმძღვანელმა ირაკლი ხარჯავანიძემ აუდიტორიას კულტურისა და სპორტის 23 სახეობის ჩამონათვალი გააცნო, რომლის ჩამოყალიბება და განვითარება 2010 წლიდან ცენტრის მთავარი პრიორიტეტი იქნება. ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ხელბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, ძალოსნობა, ალპინიზმი, ჯომარდობა, ავტორბოლა, მშვილდოსნობა, ფეინთბოლი, რაგბი, ჭადრაკი, ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“, ვაჟთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, გოგონათა ხალხურ საკრავთა ანსამბლი, ფანკლუბი, ქორეოგრაფიული ანსამბლი, მუსიკალური ჯგუფი და ბენდი, თეატრალური დასი „სხვენი“, კაპელა, თანამედროვე ცეკვები, ლიტერატურული სალონი, სამხატვრო და ხელნაკეთი ნივთების სახელოსნო, ფოტოხელოვნება და მხიარულთა და საზრიანთა კლუბი (მან-სან-კან) – ეს იმ სექციების ჩამონათვალია, რომლებზეც სტუდენტების მიღება ფინანსური სახსრების მოზიდვისთანავე დაიწყება.

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრმა სპეციალური გეგმა შეიმუშავა. საჭირო თანხების მოძიებას ცენტრი სხვადასხვა კომპანიებისგან შეეცდება, რომლებიც სანაცვლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსების შესასვლელებში განთავსებულ სტენდებზე სარეკლამო ადგილს მიიღებენ. მოლაპარაკებები ხელშეკრულების გაფორმებაზე უახლოეს მომავალში დაიწყება, ასევე, შეირჩევა ის კომპანიებიც, რომლებთანაც თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრი ინტენსიურად ითანამშრომლებს.

სპორტის რამდენიმე სახეობის განვითარებას თსუ-ის ადმინისტრაციაც დააფინანსებს. ცენტრის ახალი სამოქმედო გეგმის პრეზენტაციას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი რომან ხარბედიაც დაესწრო. მან კულტურისა და სპორტის ცენტრის გეგმები დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ სასურველია ჩამოთვლილ სპორტის სახეობებში რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება გამოიყოს, რომელთა განვითარებაშიც ადმინისტრაცია ცენტრს აქტიურად დაეხმარება.

თსუ-ის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ირინე დარჩიას ინფორმაციით, უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის შესახებ კანონში გარკვეული ცვლილებების შეტანა იგეგმება. მისი თქმით, ამ სიახლის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა უნივერსიტეტების ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე ისაუბრა. მინისტრის განცხადებით, უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტაციისთვის აუცილებელ მოთხოვნებს სპორტის განვითარებაც დაემატება და მნიშვნელოვანია, რომ ყველა უმაღლესი სასწავლებელი ამ სიახლეს მომზადებული შეხვდეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკვე ჰყავს საკმაოდ ძლიერი გუნდი მინი-ფეხბურთში, რომლის 7 წევრიც საქართველოს ნაკრებში თამაშობს. თსუ-ის კალათბურთის ჯგუფი, ასევე, წარმატებით ასპარეზობს სხვადასხვა ტურნირებზე, მათ შორის: სუპერლიგა, საქართველოს თასი, საკანდელიძე-ქორქიას მემორიალი, დუდუ დადიანის მემორიალი. თსუ-ის ვაჟთა ვოკალური, გოგონათა ხალხურ საკრავთა და ქორეოგრაფიული ანსამბლები არა ერთ კონცერტსა და ფესტივალში იღებენ მონაწილეობას, ცნობილი მწერლების პიესების მიხედვით სპექტაკლებს დგამს თეატრალური დასი „სხვენი“... თუმცა კულტურისა და სპორტის ცენტრის ახალ პროექტში ბევრი ისეთი სპორტული და კულტურული სექციაა, რომელიც თსუ-ში აღარ ფუნქციონირებს — რამდენიმე მათგანი პირველ ქართულ უნივერსიტეტში პირველად ამოქმედდება. მაგალითად, „ფეინთბოლი“ საქართველოში პოპულარობით არ სარგებლობს, თუმცა საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში საკმაოდ ბევრი სტუდენტი ეუფლება სპორტის ამ სახეობას. სიახლეა ავტორბოლის სექციის შექმნაც, რომელიც ბევრი ახალგაზრდის საყვარელი გატაცებაა და მისი ჩამოყალიბება-განვითარების შემთხვევაში რბოლები უკვე წესების დაცვით ლეგალურად გაიმართება. თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრი ალპინიზმისა და ჯომარდობის მოყვარულების პროფესიონალებად ჩამოყალიბებაზეც იზრუნებს. პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში თბილისის უნივერსიტეტს ეყოლება კაპელა და თანამედროვე ცეკვებისა და ბრეიქდანსის გუნდებიც. ცალკე გამოიყოფა ლიტერატურული სალონი და სამხატვრო და ხელნაკეთი ნივთების სახელოსნო, სადაც სტუდენტებს საკუთარი შემოქმედების წარმოდგენა შეეძლებათ.

აღსანიშნავია, რომ კულტურისა და სპორტის ცენტრი იზრუნებს, რომ სექციებში გაწევრიანებული ახალგაზრდების ჯანმრთელობა მუდმივი კონტროლის ქვეშ იყოს. დასაწყისისთვის ცენტრი სპორტული სექციების ამოქმედებისთვის დარბაზების გარემონტებას გეგმავს და საჭირო ინვენტარის შეძენის შემდეგ სტუდენტების მიღებას ოფიციალურად გამოაცხადებს.

სად და როგორ ერთობიან სტუდენტები

მომქანცველი და ხანგრძლივი პროცედურები რეგისტრაციის გასავლელად, სასურველი საგნების ვერ არჩევა ან მათი დიდი ნაწილის ერთმანეთზე დამთხვევა, ცხრილების მოწესრიგება, ლექციებს შორის ხანგრძლივი შუალედები — ეს სტუდენტური ცხოვრების ისეთივე ნაცნობი დეტალებია, როგორიც ლექციებზე დასწრება. საინტერესოა, რითი იმსუბუქებენ სტუდენტები ამ ყველაფერს და გართობის რა საშუალებებს მიმართავენ უნივერსიტეტის ფარგლებში. რამდენიმე რესპონდენტის პასუხის მოსმენისას ნამდვილად იამაყებთ ამ თაობით, რომლის ზოგიერთი წარმომადგენელიც გართობას არად დაგიდევს, ოღონდ სწავლა მოასწროს.

ნინო საგინაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის მეორეკურსელი მაგისტრანტი:

— უნივერსიტეტში თითქმის არაფრით ვერთობი. აქ სწავლით ვარ დაკავებული და, პრინციპში, არც დრო მაქვს გასართობი.

თამარ გეჭანიშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამეკურსელი:

— დროის უქონლობის გამო არანაირ გასართობ ღონისძიებებში არ ვმონაწილეობ. არც მგონია, რომ რამე ხდებოდეს უნივერსიტეტში.

ივანე აბაშიძე, იურიდიული ფაკულტეტის მეორეკურსელი:

— იურიდიულზე სწავლა ძალიან რთულია. შესაბამისად, არც დრო გვრჩება გასართობად. მიუხედავად იმისა, რომ დასწრებას ვერ ვახერხებ, მსმენია სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად ტარდება.

რასაკვირველია, არსებობენ სტუდენტები, რომლებსაც აქვთ სურვილი — გაერთონ, თუმცა მათი თქმით, რეალურად არსებული სიტუაცია მათ ამის საშუალებას ნაკლებად აძლევს. ნაწილისთვის პრობლემას ღონისძიებების ნაკლებობა და მათი ერთფეროვნება წარმოადგენს, ზოგისთვის კი მათ შესახებ ინფორმაციული სიმწირე. სტუდენტები, ასევე, ფინანსურ პრობლემასაც უჩივიან, თუმცა უმრავლესობა ცდილობს უნივერსიტეტის გარეთ, საკუთარი ხარჯებით მოახერხოს გართობა.

ინგა ჩიხლაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი:

— განსაკუთრებით კარგად დამამახსოვრდა თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ექსკურსია. თუმცა, როცა კლუბში რაიმე ღონისძიება ტარდება, ჩემთვის ბილეთების ფასი ნაკლებად მისაღებია. ვისურვებდი, ბილეთის ფასი სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს.

ლევან ციციშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხეკურსელი:

— სპორტს თუ გართობას დავარქმევთ, მაშინ ასეთი გართობა ნამდვილად გვაქვს. პირველი კორპუსის ეზოში სპორტულ მოედანზე ფეხბურთს ვთამაშობ და მეორე კორპუსის სპორტ-დარბაზში ვვარჯიშობ. ამას გარდა, ზოგჯერ ბიბლიოთეკაში საინტერესო წიგნებსაც ვკითხულობ. რაც შეეხება სხვა სახის ღონისძიებებს, მათ შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა და ამის თაობაზე, ხშირ შემთხვევაში, ღონისძიებების ჩატარების შემდეგ ვიგებთ ხოლმე.

თამთა კიკალაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორეკურსელი:

— სტუდენტები, ძირითადად, საკუთარი რესურსებით ვერთობით. ვიკრიბებით ჯგუფელები და დავდივართ სადმე ერთად. ბოლოს ფეხბურთზე ვიყავით. ახლა თეატრში ვაპირებთ წასვლას.

იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება სტუდენტი უნივერსიტეტში თავისუფალ დროს გაერთოს, თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას მივაკითხეთ.

ვიცე-პრეზიდენტის ირაკლი სამხარაძის განცხადებით, სტუდენტები საკმაოდ აქტიურად მონაწილეობენ იმ ღონისძიებებში, რომლებიც თვითმმართველობის ორგანიზებით იმართება. მისი თქმით, გასართობი ღონისძიებების ორი კატეგორია არსებობს — კულტურული და სპორტული. სპორტული ღონისძიებები, ძირითადად, სხვადასხვა სახის თამაშებს აერთიანებს. კერძოდ, ფეხბურთს, კალათბურთს და ა.შ, რომლებიც გაზაფხულზე იმართება. თუმცა ქუჩის კალათბურთში შეჯიბრი შემოდგომაზეც გამართულა. რაც შეეხება კულტურულ ღონისძიებებს — ეწყობა შეხვედრები ცნობილ მწერლებთან, პოეტებთან, ხელოვანებთან, საინტერესო ადამიანებთან, რომლებსაც, როგორც ირაკლი სამხარაძე ამბობს, სტუდენტები საკმაოდ აქტიურად ესწრებიან. ის პრობლემები, რასაც ჩვენთან საუბარში სტუდენტები ასახელებდნენ, ირაკლი სამხარაძესაც გავუზიარეთ. ჩვენს შეკითხვაზე, როგორ ახერხებს სტუდენტური თვითმმართველობა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის სტუდენტამდე მიტანას, მან გვიპასუხა: „ჩვენს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ჩვენს ვებ გვერდზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ყველა კორპუსში გამოყოფილია სპეციალური საინფორმაციო დაფები, სადაც გამოკრულია დაწვრილებითი ინფორმაცია — თუ რას, სად და როდის ვატარებთ“, — აღნიშნა ირაკლი სამხარაძემ. რაც შეეხება სტუდენტთა პრეტენზიებს იმის თაობაზე, რომ ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთის ფასი სტუდენტებისთვის, ძირითადად, მიუღებელია, სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა გვითხრა: „ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ფასების დაწევას. მაგალითად, კლუბ „ტრიუმფში“ გამართული ყველაზე მასშტაბური წინასაახალწლო წვეულება შეძლებისდაგვარად დავაფინანსეთ და სტუდენტებმა მხოლოდ ბილეთის ფასის მიზერული რაოდენობა გადაიხადეს“. ირაკლი სამხარაძის თქმით, სტუდენტები საკმაოდ აქტიურობენ გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. სპორტულ შეჯიბრებებში ხშირად გუნდების დასაშვები რაოდენობის გაზრდას ითხოვენ. ცნობილ ხელოვანებთან შეხვედრაზე კი დარბაზი სავსეა სტუდენტებით. რაც შეეხება ექსკურსიებს, სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის შემოდგომაზე რამდენიმე უფასო ექსკურსია იგეგმება.

... და თუ თვითმმართველობის ვებ გვერდსაც გადახედავთ, დამერწმუნებით, რომ სტუდენტური ცხოვრება ნამდვილად არაა ისეთი მოსაწყენი და ერთფეროვანი, როგორიც ეს ერთი შეხედვით ჩანს. დაინტერესებულ სტუდენტებს ნამდვილად აქვთ საშუალება უამრავ საინტერესო ღონისძიებაში მიიღონ მონაწილეობა.

სალომე ნიკოლეიშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა. ამ დღესთან დაკავშირებით სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში მდებარე წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში ოკუპაციის მსხვერპლთა და რეპრესირებულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

ღონისძიების ფარგლებში სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის ფოიეში დამოუკიდებელი საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაცია-ანექსიის (1921 წლის თებერვალი-მარტი) ისტორიის ამსახველი ფოტომასალა გამოიფინა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით სტუდენტებმა ივანე ჯავახიშვილის ძეგლი გვირგვინით შეამკეს. სტუდენტურმა ანსამბლმა იოსებ გრიშაშვილის ლექსზე „სიზმრად ვნახე საქართველო“ შექმნილი სიმღერაც შეასრულა. 1921 წლის 23 თებერვალს უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილ სტუდენტობას ივანე ჯავახიშვილმა ასეთი სიტყვით მიმართა: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა მე თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ, ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადადო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო და აი, მე დღეს თქვენ იარაღისკენ მოგიწოდებთ“.

საბჭოთა ოკუპაციის დღეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებები გამართეს. ქალაქ ბათუმში ოკუპაციის 89 წლისთავს სტუდენტებმა ანექსიის თემაზე კონფერენცია მიუძღვნეს, ხოლო გორის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ქალაქის ცენტრში ოკუპანტების წინააღმდეგ სტუდენტური აქცია მოაწყვეს. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს მრგვალი მაგიდა მიეძღვნა ქალაქ გორში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დისკუსია გამართეს თემაზე „საბჭოთა ოკუპაცია – მიზეზები, შედეგები, გაკვეთილები“. დღის ბოლოს ქართველი ახალგაზრდები ანთებული ჩირაღდნებით კოჯრის მემორიალთან შეიკრიბნენ და საბჭოთა ოკუპაცია მდუმარე აქციით აღნიშნეს.

საქართველოს პირველი, დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია 1921 წლის 25 თებერვალს განხორციელდა. ამ დღეს მე-11 წითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ და მოხალისეთა რაზმებსა და ქართველ იუნკერებს სასტიკად გაუსწორდნენ.

ᲰᲐᲘᲓᲘ ᲢᲐᲚᲘᲐᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲡ�პᲔᲥᲢᲔᲑᲘ

■ აკადემიკოსი და პოლიტოლოგი ლევან ალექსიძე სახელმწიფო უნივერსიტეტის მრჩეველთა და აკადემიური საბჭოების გაერთიანებულ ღია სხდომაზე მოხსენებით წარსდგა.

შეხვედრაზე განიხილეს აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელის ჰაიდი ტალიავინის მიერ დადებული დოკუმენტი.

შეხვედრას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, პოლიტოლოგები და ექსპერტები დაესწრნენ. ლევან ალექსიძემ დამსწრეთა შეკითხვებსაც უპასუხა.

აკადემიკოს ლევან ალექსიძის მოხსენება „ჰაიდი ტალიავინის მისიის მოხსენების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები“ ამ კომისიის დოკუმენტის ორივე ტომში არსებული სამართლებრივი თვალსაზრისით დადებით და სადავო საკითხებს ეძღვნება. კერძოდ, იმ დებულებებს, რომელიც მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

მოხსენება ყოველგვარი პოლიტიკური ელფერის გარეშე კომისიის დასკვნის წმინდა თეორიულ ანალიზს შეიცავს. ლევან ალექსიძის აზრით, „ტალიავინის კომისიის დასკვნა“ თავისი შინაარსით წინააღმდეგობრივია. მასში მრავალი ორჭოფული პოზიციაა დაფიქსირებული, რომელიც საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით მიუღებელია. კერძოდ, ეს არა ფაქტების მოძიების კომისიის დასკვნაა, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი ტრაქტატია, რადგან ის რეალობას კი არ ასახავს, არამედ, საერთაშორისო სამართლის თეორიულ საკითხებს ეხება; ფაქტები და შეფასებები არ არის შეჯერებული. თუნდაც ის, რომ დასკვნაში ასახული ფაქტები მოწმობენ რუსეთის აშკარა აგრესიაზე, თუმცა, კომისია ტერმინს „რუსეთის აგრესია“ გაურბის. დასკვნაში ცალსახად არ არის დაფიქსირებული, თუ ვინ გაისროლა პირველად. ნათქვამია, რომ რუსული მხარის ინფორმაციით საქართველოს იერიშს 2 რუსი სამშვიდობო ემსხვერპლა. იქვე მითითებულია ქართული მხარის პოზიცია, რომ ცეცხლი მხოლოდ საპასუხო იყო. თუმცა, აქვე აღნიშნულია, რომ მისიას არ გააჩნია მხარეთა პოზიციების დამადასტურებელი მასალა. კომისიის დასკვნაში აღნიშნულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფაქტები, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებების დაცვას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ასეთი ფაქტები ძირითადად რუსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა დაფიქსირებული. ქართული აგრესიის წარმოსაჩენად დოკუმენტში ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთი საერთაშორისო სამართლის მიხედვით საქართველოს შემადგენლობაშია, თუმცა ის ფაქტობრივად დამოუკიდებელი ერთეულია და უნდა განიხილებოდეს, როგორც სხვა სახელმწიფოს ტერიტორია. თუმცა, კომისიის შემაჯამებელ დასკვნაში ცალსახადაა დაფიქსირებული და აღიარებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

ლევან ალექსიძისთვის მიუღებელია ტალიავინის ცხრამეტკაციანი კომისიის შემადგენლობა, რადგან, მისი თქმით, მასში ისეთი პირებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც საკუთარი სუბიექტური პრორუსული აზრი ჯერ კიდევ კომისიის მუშაობის დაწყებამდე დააფიქსირეს. თუმცა, ფაქტების სიჯიუტის გამო მისია იძულებული გახდა მეტ-ნაკლებად ობიექტური

დასკვნა მაინც წარმოედგინა. თავად ლევან ალექსიძე კომისიის დასკვნის შეფასებისას არა მხარეთა მიერ მიწოდებულ, არამედ, დამოუკიდებელ, უცხოურ წყაროებს ეყრდნობა; მათ შორის ცნობილი იტალიელი პროფესორის, მრავალი საერთაშორისო ტრიბუნალის თავმჯდომარის, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის ანტონიო კასესეს დასკვნას, რომელსაც შეიცავს 2008 წლის 1 სექტემბერს გარდიანში გამოქვეყნებული სტატია – „მგელი, რომელმაც შეჭამა საქართველო“, „აგზავნიდა რა საქართველო სამხრეთ ოსეთში თავის ჯარებს, მას საერთაშორისო სამართლის არც ერთი ნორმა არ დაურღვევია“. ალექსიძის მოხსენების მიზანი საზოგადოებისთვის „ტალიავინის კომისიის დასკვნის“ არა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზების მიწოდება, არამედ დასკვნის სრულყოფილი თეორიული შეფასება და ურთიერთგამომრიცხავ ასპექტებში გარკვევაა.

„ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ „ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲐᲡ“ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ“

■ ამ ეგიდით 3 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ მხარდასაჭერი აქცია გაიმართა, რომელსაც ფონდის დამაარსებელი, ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე, უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ 2004 წელს დაარსდა. ამ ხნის მანძილზე გამარულ ღონისძიებებზე შემოსული თანხით, მრავალი ბავშვი დაუბრუნდა მშობლიურ კერას. აღსანიშნავია, რომ პაატა ბურჭულაძის მოწვევით არაერთმა მსოფლიოში ცნობილმა საოპერო ვარსკვლავმა მიიღო მონაწილეობა საქველმოქმედო აქციაში და უანგაროდ დაეხმარა გაჭირვებულ ქართულ ოჯახებს. სხვადასხვა კონცერტებზე და აქციებში აქტიურად მონაწილეობენ ქართველი მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები თუ შოუ ბიზნესის წარმომადგენლები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფონდი „იავნანა“ უკვე ერთი წელია ეხმარება აგვისტოს ომის შედეგად დაობლებულ 130 ბავშვს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ აქციაზე აღინიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში გამართული ტელემარათონის დროს შეგროვებული თანხით კიდევ სამი ოჯახი მიიღებს ბინას.

შეხვედრაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ განაცხადა, რომ საქველმოქმედო ფონდის მიერ წამოწყებულმა არა ერთმა სასიკეთო ინიციატივამ გააერთიანა ქართული საზოგადოება, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც აქტიურად ჩაერთო.

„ამ ფონდის დაარსებით საქართველოში ქველმოქმედების კულტურა დამკვიდრდა. ჩვენი სტუდენტობა მზად არის, პირველი გამოეხმაუროს ყველა სასიკეთო წამოწყებას და თავისი მცირე წვლილი შეიტანოს გაჭირვებული თანამემამულეების დასახმარებლად“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის გიორგი შამათავას ინფორმაციით, უნივერსიტეტში სემესტრულად საქველმოქმედო აქციები იმართება, რომლის შედეგად სტუდენტები ბავშვთა სახლებს და სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ეხმარებიან. ეს ღონისძიებები კვლავაც გაგრძელდება და სტუდენტების როლი ამ კუთხით მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

„ბატონი პაატას მოღვაწეობამ დაგვარწმუნა, რომ სასწაულები ხდება და ოცნებები სრულდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ყოველთვის ეხმაურება სასიკეთო ინიციატივებს. მზად ვართ, დავრეკოთ ჯადოსნურ ნომერზე: 30-30“, — განაცხადა გიორგი შამათავამ.

აქციის მონაწილეებს ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და უნივერსიტეტის სტუდენტებს შეპირდა, რომ ყოველწლიურად, ტრადიციულად, 3 მარტს დაგეგმილი საქველმოქმედო ტელემარათონის დაწყებამდე ესტუმრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

იგი სტუდენტებს ესაუბრა ფონდის მიერ განხორციელებულ პროექტებზე და პრობლემებზე.

„მიხარია, რომ ქართველმა ხალხმა გაითავისა იმ ბავშვების პრობლემები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში არიან. ხანდახან გვგონია, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა გააკეთებს, მაგრამ ეს ასე არ არის. ქველმოქმედება არ შეიძლება ერთჯერადი იყოს. რაც უფრო მეტს აკეთებ, ხვდები, რომ გასაკეთებელი უფრო მეტია“, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ სტუდენტებთან შეხვედრისას.

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ – "ELSA"-Ს ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

"ELSA" *მწვანე მომავლისთვის! – ამ დევიზით* ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციამ, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, ახალი პროექტის პრეზენტაცია წარმოადგინა. ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

პროექტის მიზანია საქართველოში გარემოს დაცვის სამართლის, როგორც სამართლის დარგის განვითარება, საზოგადოებაში გარემოს დაცვის ცნობიერების ამაღლება და იურისტებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

პროექტი „გარემოს დაცვის სამართალი“ აღნიშნულ სფეროში სამართლის სკოლის გავლას და გარემოს დაცვის სამართლის თემაზე კონფერენციის გამართვას გულისხმობს. პროექტი საქართველოს რეგიონებს მოიცავს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად პროექტში ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტების სტუდენტებიც ჩაერთვებიან. მონაწილეები გარემოს დაცვის სამართალში 2 კვირიან სკოლას გაივლიან და პროფესიონალი იურისტების ლექციებს მოისმენენ. ამასთან ერთად სტუდენტები გარემოს დაცვის სამართლის თემაზე კონფერენციას გამართავენ და საზოგადოების წინაშე თავიანთ თემებს წარმოადგენენ. *„როდესაც შენ მკურნალობ დედამიწას, შენ მკურნალობ საკუთარ თავს“*, - აღნიშნეს პრეზენტაციაზე პროექტის ორგანიზატორებმა და პარტნიორი ორგანიზაციები მადლობის სიგელებით დააჯილდოვეს.

პრეზენტაციას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი ხაჩიძე და სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა დაესწრნენ. გარემოს დაცვის მინისტრმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მომავალი თაობის წინაშე აღებული პასუხისმგებლობა მათთვის ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნას და ბუნების გაფრთხილებას გულისხმობს.

სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიოლნის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის და კიოლნის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებაზე კიოლნის უნივერსიტეტის პრორექტორს ანგელიკა ნუსბერგერს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიოლნის უნივესრიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის საშუალებით ქართველი სტუდენტები შეძლებენ ევროპული განათლება საქართველოში მიიღონ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კიოლნის სამაგისტრო პროგრამას უკვე მესამე წელია ახორციელებს. 2010 წელს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში 13 სტუდენტი ჩაირიცხა. ორი უმაღლესი სასწავლებლის ერთწლიანი

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სწავლის, სამეცნიერო სტაჟირებისა და კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორის ხელმძღვანელობით სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მიზნით მაგისტრანტების მივლინება გერმანიაში. კურსდამთავრებულები კიოლნის მაგისტრის დიპლომს მიიღებენ.

კიოლნის უნივერსიტეტი 1388 წლის 21 მაისს დაარსდა. სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეისთვის სტუდენტების რაოდენობის მიხედვით გერმანიაში მესამე ადგილზეა.

პრეზენტაციას მოწვეულ სტუმრებთან ერთად ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში პერ ეკლუნდი დაესწრო. სტუმრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ უმასპინძლა. საპატიო დოქტრის წოდების მინიჭების შემდეგ ანგელიკა ნუსბერგერი მოხსენებით წარსდგა.

ანგელიკა ნუსბერგერი აღმოსავლეთ ევროპის სამართლის სპეციალისტი, ვენეციის კომისიის წევრი, ტალიავინის კომისიის დასკვნითი ნაწილის თანაავტორი და ცნობილი წიგნის „პუტინის სისტემა. მართული დემოკრატია და პოლიტიზირებული მართლმსაჯულება“ ავტორია. წიგნმა დიდი რეზონანსი გამოიწვია რუსეთში. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის მხოლოდ ერთი თავი ითარგმნა რუსულად, სახელისუფლებო წრეებში მას მწვავე რეაქცია მოჰყვა. წიგნი „პუტინის სისტემა“ რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალური განხილვის საგანი გახდა. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს ორმა წევრმა, რომელთაც საკუთარი დადებითი აზრი გამოთქვეს ნუსბერგერის წიგნზე, თანამდებობა დატოვა. ხოლო თავად რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ზორკინმა ორი სტატია დაწერა, სადაც გაკიცხა ავტორები.

„ელცინის დროინდელ რუსეთს განვითარების გეზი დასავლეთისკენ ჰქონდა აღებული, თუმცა მმართველობაში პუტინის მოსვლის შემდეგ, რუსულმა პოლიტელიტამ ეს კურსი შეცვალა და „საკუთარ რუსულ გზას“ დაადგა. თუ რას ნიშნავს ეს გზა, ძნელი სათქმელია. რუსეთის პოლიტიკური ხელისუფლება აცხადებს, რომ ისინი აშენებენ დემოკრატიას. თუმცა, დემოკრატიის გაგება დასავლეთსა და რუსეთში სხვადასხვანაირია. რუსეთს დღეს მართავს სახელისუფლებო ვერტიკალი, რომელსაც ყველა და ყველაფერი ემორჩილება, ასე რომ დემოკრატიაზე ლაპარაკი ზედმეტია. რაც შეეხება ოპოზიციას: რუსეთში პოლიტიკური ოპოზიცია არ არის იმდენად ძლიერი, რომ რაიმე ცვლილებების განხორციელება მოახერხოს. საკმაოდ ძლიერია მეორე სახის ოპოზიცია — სოციალური ოპოზიცია. საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილო პენსიონერები, მუშები, უმუშევრები აწყობენ საპროტესტო აქციებს, თუმცა, ეს აქციები არაორგანიზებული და სპონტანურია“, — აცხადებს ნუსბერგერი. მისი თქმით, „რუსეთი საბჭოთა კავშირის ერთი ნაწილია. მათ საერთო იდეოლოგია აქვთ. რუსი პოლიტიკოსები არ შეცვლილან. ისინი საბჭოთა კავშირის დონეზე დარჩნენ, რადგან მათ აქვთ კომუნისტური დროის ნოსტალგია. საბჭოთა პროკურატურა და სასამართლო სისტემა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსული ახალი ძალა. ამიტომ ძველმა აჯობა ახალს“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იაპონური ენისა და კულტურის ცენტრის გაიხსნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იაპონური ენისა და კულტურის ცენტრი გაიხსნა. იაპონიის მთავრობის კულტურული გრანტის ფარგლებში ცენტრს იაპონური ენის შესწავლისთვის საჭირო აპარატურა გადაეცა. ოფიციალურ ცერემონიალს იაპონიის ელჩი საქართველოში მასაიოში კამოჰარა და სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა დაესწრნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოში იაპონიის საელჩოს აქტიური თანამშრომლობით, იაპონიისა და საქართველოს მთავრობების მხარდაჭერით, სახელმწიფო უნივერსიტეტი იაპონიის კულტურული გრანტის პროექტის ბენეფიციარი გახდა. 2009 წლის 12 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემას შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა თსუ-ში იაპონური ენის სწავლებისათვის კულტურული გრანტის გამოყოფას. იაპონური კულტურული გრანტი საერთო ჯამში სამ მილიონ დოლარს შეადგენს. პირველ ეტაპზე იაპონური ენისა და კულტურის ცენტრს ნახევარი მილიონი დოლარის ტექნიკური აღჭურვილობა და 200.000 ამერიკული დოლარის ღირებულების სახელმძღვანელოები გადაეცა.

„იმედი მაქვს, რომ ამ ცენტრში ბევრი სტუდენტი გაიღრმავებს ცოდნას. მათ ეძლევათ შანსი — იაპონურ კულტურას გაეცნონ და საფუძვლიანად შეისწავლონ იაპონური ენა. ამ გრანტის წყაროს წარმოადგენს იაპონელი ხალხი, რომელთა დახმარებით დღეს ეს ცენტრი გაიხსნა და ორ ქვეყანას შორის კულტურული ხიდი უფრო გამყარდა“, — აღნიშნა იაპონიის ელჩმა საქართველოში მასაიოში კამოჰარამ.

პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი ჯაბა მესხიშვილი იაპონიის განათლების სამინისტროს დაფინანსებით ორი წლით იაპონიაში მიემგზავრება. ჯაბა მესხიშვილი მაგისტრის ხარისხს კობეს უნივერსიტეტში მიიღებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება უნივერსიტეტის სასარგებლოდ მიიღო

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სასამართლო პროცესი, რომელიც 2009 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობდა, დასრულდა. 1 მარტს სასამართლომ სახელმწიფო უნივერსიტეტის სასარგებლოდ მეორე სარჩელის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთა შესარჩევი კონკურსის რამდენიმე მონაწილე კონკურსის შედეგებს სასამართლოში აპროტესტებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი, მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ორ ნაწილად გაიყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნები არც ერთ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა.

თსუ-ში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ხუბუას 2009 წლის 16 ივნისის ბრძანებით 17 აგვისტოს გამოცხადდა. კონკურსში სულ 172 კონკურსანტი მონაწილეობდა. 18 პროფესორის სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 21 ოქტომბერს შევიდა. მოსარჩელეთა ძირითადი პრეტენზია კონკურსის ჩატარების ვადებსა და პროცედურას შეეხებოდა. პირველ პროცესში მონაწილე 6 მოსარჩელეს უსაფუძვლობის გამო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი 2010 წლის 19 თებერვალს ეთქვათ.

უნივერსიტეტში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

თსუ-ის მანდილოსან პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს 8 მარტი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრისა და თბილისის უნივერსიტეტის თეატრ „სხვენის“ მსახიობებმა მიუღოცეს. სტუდენტური დასის წევრებმა ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს და სიყვარულის თემაზე დადგმული პანტომიმის მინი სპექტაკლი წარმოადგინეს. სარვამარტო ღონისძიებაზე კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებმა ბიძინა მახარაძემ და ეკა მჟავანაძემ იუმორისტული ნომერი შეასრულეს, რომელიც ოჯახური ცხოვრების თემატიკის მიხედვით დაიდგა. ბიძინა მახარაძემ „იუმორინას“ საკონცერტო პროგრამიდან ერთ-ერთი ფელეტონიც წარმოადგინა. მსახიობებმა პოპულარული ქართული სიმღერებიც შეასრულეს.

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დამსწრე ქალბატონებს თსუ-ის რექტორის გიორგი ხუბუასა და ადმინისტრაციის სახელით საჩუქრად ვარდები გადაეცათ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 17 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრაზე ქადაგიძე სტუდენტებს საინტერესო თემაზე — წარმატებული კარიერის დაგეგმვაზე ესაუბრა. მისი თქმით განათლება წარმატების მიღწევის აუცილებელი პირობაა. "კარიერის ანყობა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, საჭიროა სწორ დროს, სწორ ადგილას, სწორი უნარების გამოვლენა. ახალგაზრდამ პროფესიის შერჩევისას კარგად უნდა გათვალოს საკუთარი ნაბიჯები და არჩევანი. ფუნდამენტური განათლების შემდეგ საჭიროა სამთვიანი სპეკკურსი გაიაროს, რათა გახდეს ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტი. ნებისმიერი ინფორმაციის წაკითხვისას უნდა შეძლოს სტრიქონებს შორის კითხვა, რადგან ახალგაზრდამ არა ვაკანსიების ლინკზე უნდა ეძებოს სამსახური, არამედ განსაზღვროს, ამა თუ იმ ორგანიზაციაში ხვალ რომელი სპეციალისტი დასჭირდებათ და სწორედ მასზე უნდა გააკეთოს არჩევანი. ნუ გამოეკიდებით ხელფასს ერთი ან ორი წლის განმავლობაში. მთავარია, ეს დრო განვითარებას და ახალი ტექნოლოგიების ათვისებას მოანდომოთ, რათა მომავალში მაღალანაზღაურებად სპეციალისტად იქცეთ“, - აღნიშნა სტუდენტებთან შეხვედრისას ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

საუბრის ბოლოს გიორგი ქადაგიძემ ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტების კითხვებს უპასუხა და განუმარტა, თუ რატომ შემცირდება ახლო მომავალში ქართულ ბანკებში სამოქალაქო სესხებზე საპროცენტო განაკვეთი, როგორ რეგულირდება ლარის კურსი, საქართველოს ფინანსური ბაზრის რამდენ პროცენტს შეადგენს ბანკები, რამდენია ქვეყანაში ლარის მთლიანი მასა და ემუქრება თუ არა ქართულ ვალუტას მტკივნეული რყევები.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძისა და სტუდენტების შეხვედრას დაესწრო თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა. სწორედ თსუ-სა და ეროვნულ ბანკს შორის 5 მარტს გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაიარონ სამთვიანი სტაჟირება ეროვნულ ბანკში. ქადაგიძის თქმით, სტაჟირების დროს გამოვლენილ წარმატებულ სტუდენტებს ეროვნულ ბანკში დასაქმების შესაძლებლობა მიეცემათ.

იაპონიის კოსმოსური სააგენტო ბუნებრივ პირობებში უნიკალური სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს. თავისი კოსმიური ზონდი „ჰაიაბუსა" მათ ასტეროიდად სურთ გადააქციონ. ნამდვილი ასტეროიდისკენ ექვსწლიანი მოგზაურობის შემდეგ ზონდს დედამიწაზე აბრუნებენ. სამხედროებსა და მეცნიერებს ასეთი თამამი ექსპერიმენტის მეშვეობით დედამიწის მახლობელ ორბიტაზე და დედამიწის ატმოსფეროში ციური სხეულების მოქმედების შესწავლა სურთ. ეს აპარატი 2003 წელს დედამიწისგან 336,5 მილიონი კილომეტრით დაშორებული ციური სხეულის „იტოკავაკენ" გაემართა, მას 2005 წლის ნოემბერში მიაღწია და ზედაპირზე თხელი ალუმინის ფირფიტა დატოვა, რომელზედაც 150 ქვეყნის 880 ათასი დედამიწელის სახელია ამოტვიფრული. ახლა აპარატი თავად უნდა გადაიქცეს ასტეროიდად. ეს პირველი ექსპერიმენტი იქნება იმ სერიისა, რომელიც მომავალში არასასურველი სტუმრებისგან დედამიწის დაცვის სისტემას შექმნის.

სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის მეცნიერებმა განაცხადეს, რომ სულ მალე ბაზარზე გაჩნდება კედლის სპეციალური საღებავი, რომელსაც ვირუსების, სოკოვანას და სხვა მავნე მიკროორგანიზმების მოსპობა შეეძლებათ. მკვლევარებმა შექმნეს მიკრობების გამანადგურებელი მოლეკულა, რომელიც საღებავს ჩაემატება და ამის წყალობით იგი ანტიბაქტერიულ თვისებას შეიძენს. მეცნიერთა განცხადებით ეს მოლეკულა ისეთ ბაქტერიებსაც ერევა, რომლის წინაშეც სამედიცინო პრეპარატებიც კი უძლურია.



„ახალ აღმოჩენას შეუძლია კაცობრიობა ენერგეტიკული კრიზისისგან იხსნას", — განაცხადა ცნობილმა გენეტიკოსმა კრეგ ვენტერმა. ამერიკელმა სწავლულებმა მიწის წიაღში აღმოაჩინეს უძველესი ბაქტერიები, რომელთაც ქვის ნახშირის მეტანად გარდაქმნა შეუძლიათ. კალიფორნიაში, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების სამიტზე ვენტერმა აღნიშნა, რომ წყალსა და დედამიწის წიაღში აღმოჩენილი უნიკალური მიკროორგანიზმების შესწავლისას მან 20 მილიონი ახალი გენი შეაგროვა. ზოგიერთი ორგანიზმი ამ წიაღში 50 – 135 მილიონი წელი იმყოფებოდა. „უამრავი ორგანიზმი არსებობს, რომელიც ნახშირს შთანთქავს, შემდეგ ორგანულ მჟავებს, წყალბადს და ნახშირმჟავა გაზს წარმოშობს. გვხვდება სხვაგვარი ორგანიზმებიც, რომელიც ენზიმების საშუალებით ამ ნივთიერებებს მეტანად გარდაქმნის", - ნათქვამია მოხსენებაში. ექსპერტების აზრით, ვენტერის აღმოჩენას სამთო მრეწველობის საფუძვლიანად გარდაქმნა შეუძლია. მისი იდეების რეალიზაციის შემთხვევაში მაღაროების საჭიროება აღარ იქნება და ბაქტერიებით „დასნეულებული" ნახშირისგან მეტანს პირდაპირ დედამიწის ზედაპირზე მიიღებენ. უკანასკნელი მონაცემებით, ამ აღმოჩენით ერთ-ერთი ევროპული ფირმა უკვე დაინტერესდა.

ტაივანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს ქიმიური ნაერთი, რომელსაც ფრინველისა და ღორის გრიპის ვირუსების განადგურება პირდაპირ ჰაერში შეუძლია. ნივთიერება, რომელსაც VirusBom უწოდეს, შეიძლება საპონს დაემატოს ან სახის ნიღბები გაიჟღინთოს. მეცნიერთა აზრით, იგი გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე ალკოჰოლი, რომელიც ძალიან სწრაფად ორთქლდება. ახალი ქიმიური ნაერთი კი კარის სახელურებზე, კლავიატურაზე და მობილურ ტელეფონებზე ორი დღის მანძილზე რჩება, ხელებზე კი 5 წუთი ძლებს. პროექტის ავტორმა, პროფესორმა ლიმ განაცხადა, რომ ეს ლაბორატორიული გზით გამოყვანილი მარტივი ორგანული ნაერთია, თუმცა მისი შემადგენლობა არ დაუკონკრეტებია, რადგან გამოკვლევა ჯერ პატენტის აღების პროცესშია. VirusBom სხვა ასეპტიკური საშუალებებისგან იმით განსხვავდება, რომ სწორედ ფრინველისა და ღორის ვირუსებს ანადგურებს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ ატიპიური პნევმონიის გამომწვევი ვირუსის გამანადგურებელი ნაერთი ამ ლაბორატორიაში შეიქმნა.

იაპონელმა მეცნიერებმა გამოიყვანეს გენეტიკურად მოდიფიცირებული ბრინჯი, რომელსაც შეუძლია კაცობრიობა საკვებით გამოწვეული ალერგიისგან იხსნას. მკვლევარებმა (ფუმიო ტაკაივას ხელმძღვანელობით) ტრანსგენური ბრინჯი უკვე ცხოველებზე გამოსცადეს და დაადგინეს, რომ იგი ჯანმრთელობისთვის სრულიად უსაფრთხოა. მოდიფიცირებული ბრინჯის პირველი თაობა იმისთვის შეიქმნა, რომ მცენარეს სარეველებისა და მწერების წინააღმდეგ მეტი გამძლეობა ჰქონოდა, მეორე თაობა კი ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში ჩადგა. ანტიალერგიული ბრინჯის გარდა მეცნიერებმა ჭარბი ვიტამინებისა და მინერალების შემცველი სხვა ბოსტნეული, მარცვლეული კულტურა თუ წამლად გამოსადეგი ნივთიერებები და ვაქცინებიც გამოიყვანეს. უმთავრესი საკითხი, რომელიც მკვლევარებს აინტერესებდათ იყო — თუ რამდენად უსაფრთხო იქნებოდა ადამიანისა და გარემოსთვის ეს „ბიოფარმაცევტული" მარცვლეული. მაიმუნებზე ჩატარებულმა პირველივე ექსპერიმენტებმა მისი უსაფრთხოება დაადასტურა.

სამეცნიერო წრეებში კარგა ხანია კამათის მიზეზი გახდა — თუ რა ელოდება აფრიკას გლობალური დათბობის პირობებში.. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მას გვალვა გადაწვავს, მეორე ჭარბ ნალექს ვარაუდობს. შუალედური აზრიც არსებობს, რომლის მიხედვითაც აფრიკა ზონებად დაიყოფა და თუ ერთ ნაწილს უწყლობა გადაბუგავს, მეორეს პირიქით, წყალი წაიღებს. და აი, მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ გლობალურ დათბობას დადებითი ეფექტიც შეიძლება მოყვეს. მეცნიერებმა ერთმანეთს შეადარეს 1982 და 2002 წლებში კოსმოსიდან გადაღებული ფოტოები და აღმოაჩინეს, რომ საჰარას სამხრეთი ტერიტორია აშკარად გამწვანებას იწყებს. კიოლნის უნივერსიტეტის კლიმატოლოგიის დოქტორ შტეფან კროპელინის განცხადებით, არა მხოლოდ ბალახი, აკაციები და ბუჩქნარიც კი ისე სწრაფად მრავლდება, რომ აშკარად ფესვების სისტემის გამაგრებაზე მიგვანიშნებს. ადგილობრივი მაცხოვრებლებიც ადასტურებენ, რომ კარგა ხანია ასეთი წვიმები არ გვინახავსო და იქვე ამატებენ, აქლემებისა და სირაქლემების რაოდენობა ძალიან გაიზარდა და ზოგიერთი ამფიბიაც კი „დაბრუნდაო".

ციფრული ტექნოლოგიები, როგორც ჩანს, კაცობრიობას საბოლოოდ შეუცვლის სახეს. ელექტრონული წერილები და წიგნები საფუძვლიანად შეუდგა ქაღალდის გაძევებას. ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ამ თვალსაზრისით გაზეთები აღმოჩნდა. მაგრამ ერთი პატარა მოწყობილობით, რომელსაც In Newpaper დაარქვეს, დილის ყავასთან ერთად, დილის გაზეთის კითხვის საუკუნოვანი ტრადიციაც მალე დასრულდება. აპარატს, რომელშიც მაღვიძარაცაა ჩამონტაჟებული, შეუძლია ნებისმიერი გლობალური დილის გაზეთის ახალი ნომერის შემოთავაზება.

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	**რედკოლეგიის წევრები:**	**მისამართი:**
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია,	**ილია ჭავჭავაძის**
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი,	**გამზ. 11°**
ფოტოკორესპონდენტი	სალომე მახარაძე	დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური,	(თსუ-ის მე-3
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჟარაძე	მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე,	კორპუსი)
		ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი,	
		ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი	22 36 62